

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

ISSN 1512-0996

გ მ თ ა ძ ბ ი
TRANSACTIONS
Т Р У Д Ы

№4(494)



თბილისი – TBILISI – ТБИЛИСИ
2014

სარედაქციო კოლეგია:

ა. ფრანგიშვილი (თავმჯდომარე), ლ. ქლიმიაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ზ. გასიტაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ა. აბრალავა, გ. აბრამიშვილი, ა. აბშილავა, თ. ამბროლაძე, ქ. ბარათაშვილი, თ. ბაციკაძე, ჯ. ბერიძე, თ. გაბადაძე, ჯ. გახოკიძე, თ. გელაშვილი, ა. გიგინეიშვილი, ალ. გრიგორიძე, ე. ელიზარაშვილი, ს. ესაძე, ვლ. ვარდოსანიძე, უ. ზვიადაძე, თ. ზუმბურიძე, დ. თავხელიძე, ბ. იმნაძე, ი. კვესელავა, ტ. კვიციანი, ზ. კიკნაძე, თ. ლომინიძე, ი. ლომიძე, ბ. მაცაბერიძე, თ. მეგრელიძე, მ. მესხი, ა. მოწონელიძე, ლ. მძინარიშვილი, დ. ნატროშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, შ. ნემსაძე, დ. ნოვაძე, გ. სალუქეგაძე, ქ. ქოქრაშვილი, ე. ქუთელია, ა. შარვაშიძე, მ. ჩეიძე, ზ. წვერაიძე, თ. ჯაგოდნიშვილი, თ. ჯიშკარიანი.

EDITORIAL BOARD:

A. Prangishvili (chairman), L. Klimiashvili (vice-chairman), Z. Gasitashvili (vice-chairman), A. Abralava, G. Abramishvili, A. Abshilava, T. Ambroladze, E. Baratashvili, T. Batsikadze, J. Beridze, M. Chkheidze, E. Elizbarashvili, S. Esadze, T. Gabadadze, J. Gakhokidze, O. Gelashvili, A. Gigineishvili, Al. Grigolishvili, B. Imnadze, T. Jagodnishi, T. Jishkariani, Z. Kiknadze, K. Kokrashvili, E. Kutelia, I. Kveselava, T. Kvitsiani, T. Lominadze, I. Lomidze, M. Matsaberidze, L. Mdzinariashvili, T. Megreliidze, M. Meskhi, A. Motzonelidze, D. Natroshvili, N. Natsvlishvili, Sh. Nemsadze, D. Nozadze, G. Salukvadze, A. Sharvashidze, D. Tavkhelidze, Z. Tsveraidze, Vl. Vardosanidze, O. Zumburidze, U. Zviadadze.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

А.И. Прангишвили (председатель), Л.Д. Климиашвили (зам. председателя), З.А. Гаситашвили (зам. председателя), А.Г. Аbralава, Г.С. Абрамишивили, А.В. Абшилава, Т.А. Амброладзе, Е.Ш. Бараташвили, Т.В. Бацикадзе, Дж.Л. Беридзе, Вл.Г. Вардосанидзе, Т.Г. Габададзе, Дж.В. Гахокидзе, О.Г. Гелашвили, А.В. Гигинеишвили, Ал.Р. Григолишвили, Т.А. Джагоднишвили, Т.С. Джишакариани, У.И. Звиададзе, О.Г. Зумбуридзе, Б.Л. Имнадзе, И.С. Квеселава, Т.А. Квициани, З.Г. Кикнадзе, К.А. Кокрашвили, Е.Р. Кутелия, И.Б. Ломидзе, Т.Н. Ломинадзе, М.И. Мацаберидзе, Л.Д. Мдзинаришвили, Т.Я. Мегрелидзе, М.А. Месхи, А.Н. Моцонелидзе, Д.Г. Натроши, Н.В. Нацвалишвили, Ш.А. Немсадзе, Д.А. Нозадзе, Г.Г. Салуквадзе, Д.Д. Тавхелидзе, З.Н. Цвераидзе, М.М. Чхеидзе, А.М. Шарвашидзе, Э.Н. Элизбарашвили, С.Ю. Эсадзе.



საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2014

Publishing House “Technical University”, 2014

Издательский дом “Технический Университет”, 2014

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



Verba volant,
scripta manent

შინაგასი

ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია

მ. გუდიაშვილი, ს. ლომიძე. საქართველოს ელექტროსისტების სტრუქტურის მოდელირება	9
ო. კილურაძე, გ. ქეთელაური, ს. ბარამიძე. შენობის გათბობის “წყვეტილი” რეჟიმის ოპტიმიზაცია.....	14
ქ. ჩხიგვაძე. სათბობის თბოზნარიანობის საკლევი ხელსაწყოს თბური ეპივალენტის განსაზღვრა	19

სამორ საჭმე და გეოლოგია

გ. გაჯიევი. დახრილი ჰაბურლილების აროვილის ანალიზი ინკლინომეტრული მონაცემების საფუძვლზე	23
---	----

სატრანსაროო, მანქანითმშენებლობა

თ. მეგრელიძე, თ. ისაკაძე. ორსაზეზურიანი სამაცივრო ციცლი ერთი როტაციული კომპარატორი, რეგულირაციული ეპონომაზე და მაცივარაბენტის ორთქლის შემხევები.....	28
თ. მეგრელიძე, თ. ისაკაძე, გ. გუგულაშვილი, გ. მეგრელიძე. კასკადური ტიპის თერმოელექტრული მაცივარი	33

ინფორმაცია, გართვის სისტემები

ი. ჩხეიძე, ლ. ტოგაძე. LabView და MathCad პროგრამულ ბარემოვი მონაცემთა დამუშავების შედარებითი ანალიზი	38
გ. გოგიჩაიშვილი, გ. სურგულაძე, მ. ახობაძე, გ. ლვინეფაძე, თ. სუხიაშვილი. სახელმწიფო და სასამართლო სისტემის გართვის სრულყოფის საკითხები	43

მ. ახობაძე, ელ. კურცხალია, თ. ბახტაძე, ნ. ვარძიაშვილი. ქალაქის	
ვუნდოურ-სივრცელი განვითარების იმიტაციური მოდელირება და მართვა.....	49
ზ. გასიტაშვილი, ს. ხუციშვილი, ჯ. გაგლოშვილი. ინოვაციური პროცესების	
მოდელების ეფოლუცია	55
გ. ღვინევაძე, თ. ღვინევაძე. ზოგიერთი მოსაზრება სახელმწიფოს	
მართვის სრულყოვის მიმართებით	64
აპტორთა საძიებელი	69
აპტორთა საზრადლებო	70

CONTENTS

ENERGETICS AND TELECOMMUNICATION

M. Gudiashvili, S. Lomidze. MODELLING OF THE STRUCTURE OF GEORGIAN ELECTROSYSTEM	9
O. Kiguradze, G. Ketelauri, S. Baramidze. OPTIMIZATION OF HEATING “INTERMITTENT” MODE FOR BUILDING	14
K. Chkhikvadze. DEFINITION OF THERMAL EQUIVALENT OF FUEL CALORIFIC VALUE MEASUREMENT EQUIPMENT.....	19

MINING AND GEOLOGY

G. Gadzhiev. PROFILE ANALYSIS OF DEVIATED WELLS BASED ON DIRECTIONAL SURVEY DATA	23
---	----

TRANSPORT, MECHANICAL ENGINEERING

T. Megrelidze, T. Isakadze. TWO- STEPPED REFRIGERATORY CYCLE WITH ONE ROTATION COMPRESSOR, REGENERATIVE ECONOMIZER AND REFRIGERANT STEAM SPLASH	28
T. Megrelidze, T. Isakadze, G. Gugulashvili, G. Megrelidze. THE CASCADE TYPE THERMOELECTRIC REFRIGERATOR	33

INFORMATICS, MANAGING SYSTEMS

I. Chkheidze, L.Tokadze. THE COMPARATIVE ANALYSIS OF DATA PROCESSING IN THE LABVIEW AND MATHCAD ENVIRONMENTS.....	38
G. Gogichaishvili, G. Surguladze, M. Akhobadze, G. Gvinepadze, T. Sukhiashvili. THE STATE AND CONCERN ABOUT THE REFINEMENT OF THE JUDICIAL SYSTEM	43

M. Akhobadze, E. Kurtskhalia, T. Bakhtadze, N. Vardziashvili. IMITATIVE MODELING AND MANAGEMENT OF THE CITY FUNCTIONAL - SPATIAL DEVELOPMENT	49
Z. Gasitashvili, S. Khutsishvili, J. Gagloshvili. EVOLUTION OF MODELLING OF INNOVATION PROCESSES.....	55
G. Gvinepadze, T. Gvinepadze. SOME REFLECTION ON IMPROVEMENT OF STATE CONTROL.....	64
AUTHORS INDEX	69
TO THE AUTORS ATTENTION	72

СОДЕРЖАНИЕ

ЭНЕРГЕТИКА И ТЕЛЕКОММУНИКАЦИИ

М.Н. Гудиашвили, С.И. Ломидзе. СТРУКТУРНОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ ЭЛЕКТРОСИСТЕМЫ ГРУЗИИ.....	9
О.Д. Кигурадзе, Г.Г. Кетелаури, С.Д. Барамидзе. ОПТИМИЗАЦИЯ "ПРЕРЫВНОГО" РЕЖИМА ОТОПЛЕНИЯ ЗДАНИЙ.....	14
К.Т. Чхиквадзе. ОПРЕДЕЛЕНИЕ ТЕПЛОВОГО ЭКВИВАЛЕНТА ПРИБОРА ДЛЯ ИССЛЕДОВАНИЯ ТЕПЛОВОРНОЙ СПОСОБНОСТИ ТОПЛИВА.....	19

ГОРНОЕ ДЕЛО И ГЕОЛОГИЯ

Г.К. Гаджиев. АНАЛИЗ ПРОФИЛЯ НАКЛОННО НАПРАВЛЕННЫХ СКВАЖИН НА ОСНОВЕ ИНКЛИНОМЕТРИЧЕСКИХ ДАННЫХ.....	23
---	----

ТРАНСПОРТ, МАШИНОСТРОЕНИЕ

Т.Я. Мегрелидзе, Т.А. Исакадзе. ДВУХСТУПЕНЧАТЫЙ ХОЛОДИЛЬНЫЙ ЦИКЛ С ОДНИМ РОТАЦИОННЫМ КОМПРЕССОРОМ, РЕГЕНЕРАТИВНЫМ ЭКОНОМАЙЗЕРОМ И ВПРЫСКОМ ПАРА ХЛАДАГЕНТА	28
Т.Я. Мегрелидзе, Т.А. Исакадзе, Г.Л. Гугулашвили, Г.Т. Мегрелидзе. ТЕРМОЭЛЕКТРИЧЕСКАЯ ХОЛОДИЛЬНАЯ МАШИНА КАСКАДНОГО ТИПА.....	33

ИНФОРМАТИКА, СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ

И.М. Чхеидзе, Л.Ш. Токадзе. СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ ОБРАБОТКИ ДАННЫХ В СРЕДАХ	38
Г.Г. Гогичаишвили, Г.Г. Сургуладзе, М.Н. Ахобадзе, Г.Ш. Гвинепадзе, Т.А. Сухиашвили. ГОСУДАРСТВО И ВОПРОСЫ УСОВЕРШЕНСТВОВАНИЯ УПРАВЛЕНИЯ СУДЕБНОЙ СИСТЕМОЙ	43

М.Н. Ахобадзе, Е.Ж. Курцхалия, Т.Д. Бахтадзе, Н.Н. Вардзиашвили. ИМИТАЦИОННОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ И УПРАВЛЕНИЕ ФУНКЦИОНАЛЬНО-ПРОСТРАНСТВЕННЫМ РАЗВИТИЕМ ГОРОДА	49
З.А. Гаситашвили, Ш.А. Хуцишвили, Дж.И. Гаглошвили. ЭВОЛЮЦИЯ ИННОВАЦИОННЫХ ПРОЦЕССОВ МОДЕЛИ	55
Г.Ш. Гвинепадзе, Т.Г. Гвинепадзе. НЕКОТОРЫЕ СООБРАЖЕНИЯ ПО УСОВЕРШЕНСТВОВАНИЮ УПРАВЛЕНИЯ ГОСУДАРСТВОМ	64
ПЕРЕЧЕНЬ АВТОРОВ	69
К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ	74

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის სექტორი

შაპ 681.3

საქართველოს ელექტროსისტემის სტრუქტურის მოღელირება

მ. გუდიაშვილი*, ს. ლომიძე

ელექტროენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75

E-mail: makagudiaashvili@yahoo.com

1. შესავალი

რეზიუმე: საქართველოს ელექტროსისტემის სტრუქტურის განვითარება წარმოადგენს მრავალ-კრიტიკული ამოცანას, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია მათემატიკური მოდელის აგებით. გაანგარიშების თანახმად, პერსპექტიულ 2015-2020 წლიან პერიოდში მიზანშეწონილია აშენდეს 85 მვტ სიმძლავრის მცირე ჰესები, 1610 მვტ მარეგულირებელი წყალსაცავის მქონე საშუალო და დიდი სიმძლავრის ჰესები, 1250 მვტ ქარის ენერგიაზე და 230 მვტ ბუნებრივ აირზე მომუშავე ელექტროსადგურები, რომელთაც უნდა უზრუნველყოს ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება ქვეყნის ეკონომიკური მდგრმარეობის, გარემოს დაცვის და საწარმოო სიმძლავრეების ტერიტორიული განაწილების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: მათემატიკური მოდელი; მცირე ჰესი; დიდი ჰესი; ქარის ენერგია; ბუნებრივი აირი.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის თანახმად, ენერგიის იმპორტის შემცირებისა და ენერგოდამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან განსაზღვრულია ადგილობრივი და უცხოური საინვესტიციო ენერგეტიკული პროექტების ხელშეწყობა ადგილობრივი ენერგორესურსების ათვისების აქცენტებით. საქართველოს ელექტროსისტემაში მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე იფარება სხვადასხვა ტიპის ელექტროსადგურებიდან, ხოლო განახლებადი ენერგორესურსების გამოყენება ენერგეტიკაში უზრუნველყოფს ძვირფასი ორგანული სათბობის დაზოგვას და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას. ამრიგად, ენერგეტიკული სიმძლავრეების ისეთი განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს მისდამი წაყენებული ეკონომიკური კრიტიკულების დაკმაყოფილებას, როგორიცაა არაგანახლებადი ენერგორესურსების ხარჯების მიზანშეწონილი და ოპტიმალური დონე შორეული პერსპექტივის გათვალისწინებით, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისთვის სა-

ჭირო კაპიტალდაბანდებათა გამართლებული მოცელობა და ა.შ. არის მრავალკრიტერიუმიანი ამოცანა, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია მათგატიკური მოდელის აგებით.

2. ძირითადი ნაწილი

განვიხილოთ ერთწლიან მონაკვეთებად დაყოფილი $T=5$ წლიანი პერიოდი (2015-2020 წ.), ნებისმიერ T წლს ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: წლიურად გამომუშავებული ელექტროენერგია (W), ერთდღოული კაპიტალური ხარჯები (K), წლიური შემოსავალი (X) სხვადასხვა ენერგეტიკული ობიექტებისთვის იქნება შესაბამისად: W_{0-i} i -ური პერიოდისათვის ($i=1,2,\dots,n$) – w_{1i} ; K_{1i} ; x_{1i} ; დიდი j -ური პერიოდისათვის ($j=1,2,\dots,m$) – w_{2j} ; K_{2j} ; x_{2j} ; ქვანახშირზე მომუშავე ე-ური თესებისათვის ($e=1,2,\dots,L$) – w_{3e} ; K_{3e} ; x_{3e} ; მაზუთზე მომუშავე ბ-ური თესებისათვის ($b=1,2,\dots,B$) – w_{4b} ; K_{4b} ; x_{4b} ; ბუნებრივ აირზე მომუშავე ც-ური თესებისათვის ($c=1,2,\dots,C$) – w_{5c} ; K_{5c} ; x_{5c} ; ქარის ენერგიაზე მომუშავე q -ური ელექტროსადგურებისათვის ($q=1,2,\dots Q$) – w_{6q} ; K_{6q} ; x_{6q} . მოცემული ეკონომიკური მაჩვენებლები (w, k, x) ცვლადი სიდიდეებით დროში

და მათი აღნიშვნა შეიძლება ა ასოთი, რომელიც აქმაყოფილებს პირობას: $a=1$, როცა $T \geq T_0$, რაც ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ახალი ენერგეტიკული ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია აღირიცხება მხოლოდ ექსპლუატაციაში გაშვების მომენტიდან. ჰესების საერთო გარანტირებული სიმძლავრე აღვნიშნოთ P_1 -ით, თესებისათვის P_2 -ით, არატრადიციულ ენერგიის წყაროზე მომუშავე ელექტროსადგურებისთვის P_3 -ით, გარანტირებული საერთო მაქსიმალური სიმძლავრე P_0 -ით, ელექტროსადგურების წარმოების წლიური მოცელობა W_0 -ით, ელექტროსადგურების მშენებლობისათვის განკუთვნილი ჯამური დანახარჯები D_1 -ით, წლიური საექსპლუატაციო ხარჯები – D_2 -ით. შემოტანილი კოეფიციენტების გარანტირებული სიმძლავრის, შესაბამისად ჰესების, თესების და არატრადიციულ ენერგიის წყაროზე მომუშავე ელექტროსადგურების ($a_{1i}, a_{1j}, a_{1e}, a_{1b}, a_{1c}, a_{1q}$), კაპიტალური დაბანდებების ($a_{2i}, a_{2j}, a_{2e}, a_{2b}, a_{2c}, a_{2q}$), კაპიტალური დაბანდებების ($a_{3i}, a_{3j}, a_{3e}, a_{3b}, a_{3c}, a_{3q}$) და წლიური საექსპლუატაციო ხარჯების ($a_{4i}, a_{4j}, a_{4e}, a_{4b}, a_{4c}, a_{4q}$), საფუძველზე მოვითხოვთ შემდეგი პირობების შესრულება:

$$\begin{aligned} \sum_{i=1}^n a_{1i} p_1 + \sum_{j=1}^m a_{1j} p_1 + \sum_{e=1}^L a_{1e} p_2 + \sum_{b=1}^B a_{1b} p_2 + \sum_{c=1}^C a_{1c} p_2 + \sum_{q=1}^Q a_{1q} p_3 &\leq P_0 \\ \sum_{i=1}^n a_{2i} p_1 + \sum_{j=1}^m a_{2j} p_1 + \sum_{e=1}^L a_{2e} p_2 + \sum_{b=1}^B a_{2b} p_2 + \sum_{c=1}^C a_{2c} p_2 + \sum_{q=1}^Q a_{2q} p_3 &\leq W_0 \\ \sum_{i=1}^n a_{3i} p_1 + \sum_{j=1}^m a_{3j} p_1 + \sum_{e=1}^L a_{3e} p_2 + \sum_{b=1}^B a_{3b} p_2 + \sum_{c=1}^C a_{3c} p_2 + \sum_{q=1}^Q a_{3q} p_3 &\leq D_1 \\ \sum_{i=1}^n a_{4i} p_1 + \sum_{j=1}^m a_{4j} p_1 + \sum_{e=1}^L a_{4e} p_2 + \sum_{b=1}^B a_{4b} p_2 + \sum_{c=1}^C a_{4c} p_2 + \sum_{q=1}^Q a_{4q} p_3 &\leq D_2 \end{aligned} \quad (1)$$

ასეთ პირობებში შეიძლება ნებისმიერი ტიპის შორის უნდა მოვალეობოთ ყველაზე ოპტიმალური. ოპტიმალურობის კრიტერიუმად მიღებულია მოცემული ელექტროსადგურების მშენებლობისა და

ექსპლუატაციის ჯამური დანახარჯების მინიმიზაცია, ხოლო ამოცანის მიზნობრივი ფუნქცია არის მაქსიმალური მოგების მიღება. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მთვლი რიგი შეზღუდვებიც: ფინანსური შეზღუდვა;

პერსპექტიულ პერიოდში ძირითადი საწარმოო საშუალებებისთვის გამოყოფილი ინვესტიციები წინასწარ განსაზღვრული სიდიდე. ამიტომ, ნებისმიერ t წელს და ნებისმიერი რაოდენობის სიმძლავრების შესაქმნელად დახარჯული თანხა არ უნდა აღემატებოდეს მშენებლობისათვის გამოყოფილი ჯამური კაპიტალური დაბანდებების Kt (D₁+D₂) სიდიდეს.

ეკოლოგიური შეზღუდვა. რადგანაც არაგანახლებად ენერგიებზე მომუშავე სადგურები გარემოს დაბინძურებას იწვევს, ჩვენ უნდა შევარჩიოთ ორგანულ სათბობზე მომუშავე ისეთი ელექტროსადგურები, რომელთა მუშაობის შედეგად გაფრქვეული მავნე ნივთიერებები იქნება მინიმალური.

საქართველოს ენერგეტიკის საწარმოო სიმძ-

$$\begin{aligned} F = & \sum_{i=1}^n a_{3i} p_1 + \sum_{j=1}^m a_{3j} p_1 + \sum_{e=1}^L a_{3e} p_2 + \sum_{b=1}^B a_{3b} p_2 + \sum_{c=1}^C a_{3c} p_2 + \sum_{q=1}^Q a_{3q} p_3 \\ & + \sum_{i=1}^n a_{4i} p_1 + \sum_{j=1}^m a_{4j} p_1 + \sum_{l=1}^L a_{4e} p_2 + \sum_{b=1}^B a_{4b} p_2 + \sum_{c=1}^C a_{4c} p_2 + \sum_{q=1}^Q a_{4q} p_3 \min \end{aligned} \quad (2)$$

საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სტრატეგიის თანახმად, საჭირო ელექტროენერგიის რაოდენობა, რომელიც 2020 წლისათვის უნდა მივიღოთ 18 მლრდ კატსთ-ის ტოლია [2]. გასათვალისწინებელია მთელი რიგი შემზღვდავი ფაქტორები, კერძოდ: პიდროველექტროსადგური წლის განმავლობაში მუშაობს 3000 საათს. თბოსადგური – მისი სათბობით შეუძლებავი მომარაგების პირობებში 4500-6500 საათს, მაგრამ იმპორტირებული ქვირადლირებული ტრადიციული სათბობის გამოყენება 4500 საათზე მეტი დროის განმავლობაში ეკონომიკურად მიზანშეუწონელია. ქარის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგური მუშაობს 3000 საათს. საქართველოს რელიეფი იმდენად მრავალფეროვანია, რომ პიდროტექნიკურ ნაგებობათა დირექტულება დადგმული სიმძლავრის ერთეულზე მერყეობს ძალიან დიდ დიაკაზონში, საერთაშორისო ნორმებით გათვალის-

ლავრეგების განვითარების ოპტიმიზაციის ამოცანა დავიყენოთ სამ ძირითად მიმართულებამდე:

1. მოინახოს მაგნერიულებული სიმძლავრეების ისეთი სპეცირი, რომლის დროსაც ამ სიმძლავრეების ჯამი იქნება მაქსიმუმი იმ შეზღუდვების პირობებში, რომლებსაც ითვალისწინებს შემუშავებული მათემატიკური მოდელი;

2. გამომუშავებული ელექტროენერგიის მაქსიმიზაცია ასევე შეზღუდვების პირობების დაურდევლად;

3. წინასწარ განსაზღვრული სიმძლავრეებისა და ენერგიის მიღება მინიმალური კაპიტალური ხარჯების დროს.

ჩვენი ამოცანის მიზანი დაიყვანება შემდეგი ფუნქციის მინიმიზაციაზე:

წინებული სიმძლავრის ერთეულზე მოსული კაპიტალური ხარჯები მცირე პიდროსადგურებისათვის არის 3500 ლარი/კვტ, საშუალო და დიდი სიმძლავრის ჰესებისთვის 1000 ლარი/კვტ, ქანახშირზე და მაზუთზე მომუშავე თბოსადგურებისათვის 2500 ლარი/კვტ, აირტურბინული ელექტროსადგურისათვის 2300 ლარი/კვტ, ქარის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურისათვის 3500 ლარი/კვტ, რადგან მასში შედის ელექტროგადამცემი ხაზების ღირებულებაც. საექსპლუატაციო და ენერგორესურსებზე დახარჯული თანხა ჰესებისათვის შეადგენს 70 ლარი/კვტ, ტრადიციულ სათბობზე მომუშავე თესებისათვის 370 ლარი/კვტ, ქარის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურებისთვის 100 ლარი/კვტ. აღსანიშნავია, რომ საპროგნოზო პერიოდში საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული სტრატეგიის თანახმად 2015-2020 წლებში მოქმედებაში შევა მცირე სიმძლავ-

რის ელექტროსადგურები (იხ. ცხრ. 1), საშუალო
და დიდი სიმძლავრის ელექტროსადგურები (იხ.
ცხრ. 2), თბოსადგური და ქარის ელექტროსადგუ-
რები (იხ. ცხრ. 3). უნდა ვივარაუდოთ, რომ საპ-
როგნოზო პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება
დამატებით 3175 მგვტ სიმძლავრე. საპროგნოზო

პერიოდში (2020 წლისათვის) მირითადი საშუა-
ლებების შექმნისათვის საჭირო ინვესტიციები
ჯერ განსაზღვრული არ არის, ამიტომ ვივარაუ-
დოთ, რომ მშენებლობისათვის განკუთვნილი ჯა-
მური დანახარჯები (D₁) 7 მლრდ ლარი იქნება.

ცხრილი 3

ცხრილი 1		
	მცირე ჰესი	დადგმული სიმძლავრე, მგტ
1	ლუხუნები 1	10.8
2	ლუხუნები 2	12
3	ლუხუნები 3	7.5
4	ნაბედლავები	1.9
5	კინტროჰესი	5
6	სხალთები	9.8
7	არაკალპები	8.8
8	ოქროპილაურპები	1.8
9	გოგინაურპები	1.8
10	ყაზბეგპები	5
11	დებედპები	2.5
12	ფშაველპები	1.9
13	კასლეთპები 1	8.1
14	კასლეთპები 2	8.1
	ჯამი	85

ცხრილი 2

	საშუალო და დიდებები	დადგმული სიმძლავრე, მგტ
1	კირნათპები	51.2
2	ხელვაჩაურპები 1	47.4
3	ხელვაჩაურპები 2	28.9
4	დარიალპები	108
5	ხობპები 1	60
6	ხობპები 2	55
7	მტკვარპები	43
8	ფარაგანპები	85
9	ხუდონპები	702
10	შუახევპები	175
11	კორომხეთპები	150
12	ხერთვისპები	65
13	აბულპები	22.2
14	დარჩები	16.9
	ჯამი	1610

წლიური საექსპლუატაციო ხარჯები (D₂) 30 -
500 მლნ ლარი. ამიტომ D₁≤7 მლრდ ლარი; D₂≤500
მლნ ლარი. წარმოდგენილი მიზნის ფუნქციის (2)
საფუძველზე, როდესაც ადგილი აქვს (1) შეზ-
ღუდვებს, მივიღებთ:

3500 φ1i+1000 φ2j+2500 φ3e+2500 φ4b+2300
φ5c+3500 φ6q≤ 7 მლრდ ლარი

70 φ1i+70 φ2j+370 φ3e+370 φ4b+370 φ5c+100 φ6q≤
500 მლნ ლარი

3000 φ1i+3000 φ2j+4500 φ3e+4500 φ4b+4500
φ5c+3000 φ6q≥ 18 მლრდ კვტსთ.

მოდელის ამოხსნის შემდეგ გვაქვს სურათი: 85
მგტ+1610გვტ+0+0+230+1250გვტ=3175 მგტ, ხოლო
φ3=φ4=0. წარმოდგენილი მიზნის ფუნქციისა და
შეზღუდვების გათვალისწინებით კმაყოფილდება
შემდეგი პირობები: P₁+P₂+P₃≥ 3,1*106 კვტ;

3500P₁+1000P₁+2300P₂+3500P₃≤ D₁;

70P₁+70P₁+370P₂+100P₃≤ D₂;

3000P₁+3000P₁+4500 P₂+3000P₃≥ 9,8 * 109 კვტსთ.

ეს ნიშნავს, რომ ნახშირზე და მაზუთზე მო-
მუშავე თესების აშენება მოცემული კაპიტალური
და საექსპლუატაციო ხარჯების და ეკოლოგიური
შეზღუდვების პირობებში მიზანშეწონილი არ
არის. მცირე ჰესები უნდა აშენდეს 85 მგტ სიმძ-
ლავრით, რომლებიც რეგიონებში დააკმაყოფი-
ლებს ადგილობრივ მოთხოვნას, მარეგისადგურებ-
ლი წალსაცავის მქონე პიდროსადგურები - 1610

მვტ სიმძლავრით, რომელიც პიკურ დატვირთვაზე იმუშავებს. ასევე მიზანშეწონილია აშენდეს ქარის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურები 1250 მვტ და ბუნებრივ აირზე მომუშავე თბოსადგური 230 მვტ სიმძლავრით. ოუ შევამოწმებთ შეზღუდვებს კაპიტალურ დაბანდებებზე, როცა $D_{1\leq 7}$ მლრდ ლარზე, მივიღებთ:

$$85000*3500+1619000*1000+230000*2300+1250000*3500 \leq 7$$

მლრდ ლარი ანუ 6,8 მლრდ ლარი ≤ 7 მლრდ ლარი. ეს პირობა შესრულებულია. გადავიდეთ შემდეგ შეზღუდვაზე, რომელიც წლიურ საექსპლუატაციო ხარჯებს ეხება, იგი არ უნდა აღემატებოდეს 500 მლნ ლარს: $85000*70+1619000*70+230000*370+1250*100 \leq 500$ მლნ ლარი ანუ 328 მლნ ლარი ≤ 500 მლნ ლარი. ეს პირობაც შესრულებულია. ასეთი კაპიტალური დაბანდებების დროს დამატებითი სიმძლავრეების მიერ მიღებული ენერგია ტოლია: $85000*3000+1610000*3000+230000*4500+1250000*3000=9,8$ მლრდ კვტსთ.

3. დასკვნა

2013 წლის მონაცემებით წლიური გამომუშავება 9,7 მლრდ კვტსთ-ს შეადგენდა და იმის გათვალისწინებით, რომ ეს მაჩვენებელი მომდევნო წლებშიც შენარჩუნდება, 2020 წლისათვის ჩვენ

გვჭირდება დამატებით არანაკლებ 8,3 მლრდ კვტსთ ენერგია, რომ გავიდეთ საპროგნოზო მაჩვენებელზე (18 მლრდ კვტსთ). ჩვენი გათვლებით, ახალი ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ბევრად აჭარბებს საპროგნოზო მაჩვენებელს. ე.ი. 2020 წლისათვის საქართველოს ელექტროსისტემის ოპტიმალურმა სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ქვემის ეკონომიკური მდგომარეობის, გარემოს და საწარმოო სიმძლავრეების ტერიტორიული განაწილების გათვალისწინებით. საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის ზრდის შესაბამისად, მოსალოდნელია მისი ექსპორტის ზრდა და საექსპორტო ბაზრების შემდგომი დივერსიფიკაცია.

ლიტერატურა

- ო. სოლომონია და სხვ. ენერგეტიკული სისტემის განვითარების ოპტიმალური სტრუქტურის მათემატიკური მოდელი // „ენერგია” №4, ობილისი, 1997 წ.
- საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია: საქართველო 2020 (პროექტი). საქართველოს მთავრობა: ნოემბერი, 2013. <http://www.minenergy.gov.ge>

UDC 681.3

MODELLING OF THE STRUCTURE OF GEORGIAN ELECTROSYSTEM

M. Gudiashvili, S. Lomidze

Department of electrical engineering and electromechanics, Georgian Technical University, 75, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: The development of the structure of an energy capacity is multy-criterial task, which can be solved with the mathematical model. According to the calculation, it is recommended to construct during the prospective period of 2015-20 years 85 MW capacity of small hydro-power plants, 1610 MW capacity middle and large hydro-power plants with regulating reservoir, 1250 MW capacity wind farms and 230 MW capacity natural gas-fired heat power station. They will ensure to meet country's demand of electricity in concideration of the country's economic, environmental and territorial distribution of power capacities.

Key words: mathematical model; small hydro power plant; large hydro power plant; wind power; natural gas.

УДК 681.3

СТРУКТУРНОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ ЭЛЕКТРОСИСТЕМЫ ГРУЗИИ**Гудиашвили М.Н., Ломидзе С.И.**

Департамент электроэнергетики и электромеханики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75

Резюме: Развитие энергетической структуры может быть решено математической моделью. Согласно расчету, в течение 2015-20 г.г. рекомендуется построить 85 МВт малых ГЭС, 1610 МВт больших ГЭС с регулирующим резервуаром, 1250 МВт ЭС, работающих на энергии ветра, и 230 МВт ТЭС, работающих на природном газе, которые предназначены для обеспечения потребности страны в энергии с учетом экономического, экологического и территориального распределения мощностей.

Ключевые слова: математическая модель; малые ГЭС; большие ГЭС; энергия ветра; природный газ.

მიღებულია დასაბუქდად 29.09.14

შავ 722. 662: 998

შენობის გათბობის “წყვეტილი” რეზიზის ოპტიმიზაცია

ო. კილურაძე*, გ. ქეთელაური**, ს. ბარაძე

თბილისის კილურაძე გენერაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, გ. კოსტავას 75

E-mail: omar.kiguradze@hotmail.com; giorgiketelauri@gmail.com

რეზიუმე: დახასიათებულია შენობებში ხელოვნურად ან ავარიულად გათბობის “წყვეტილი” რეზიმი, ენერგიის ხარჯის ოპტიმიზაცია გათბობაზე დახარჯული ენერგიის მინიმიზაციის მიზნით, გათბობის რეზიმის მართვა, შენობების თბური ბალანსის განტოლება, სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების თბოფიზიკური თვისებები და თბოაქტულაციის მაჩვენებლები.

საკვანძო სიტყვები: გათბობა; წყვეტილი რეზიმი; ოპტიმიზაცია; ენერგოდაზოგვა; ენერგოუზრობა; სამშენებლო მასალები; თბოფიზიკური თვისებები; თბოაქტულაცია.

1. შესავალი

სხვადასხვა დანიშნულების შენობებისათვის დადგენილია შიგა პაქტის ნორმატიული ტექნიკურის მნიშვნელობები. ადმინისტრაციულ და საცხოვრებელ შენობებში, სკოლებში, თეატრებში, კინოთეატრებში, ზოგიერთი საწარმოო შენობებში

და სხვა, გათბობისათვის საჭირო ენერგიის ეკონომიის მიზნით დღე-ღამის გარკვეულ პერიოდში, დასვენების და სადღესასწაულო დღეებში დასაშვებია შიგა ჰაერის ტემპერატურის დადაბლება ნორმატიულთან შედარებით. ანალოგიური სიტუაცია დგბა აგრეთვე ავარიების დროს, როცა შენობაში წყდება სითბოს მიწოდება.

გათბობის ისეთი რეჟიმი, როცა შიგა ჰაერის ტემპერატურა დროის გარკვეულ პერიოდში ნაკლებია (ხელოვნურად ან ავარიის შედეგად), ვიდრე მისი ნორმატიული მნიშვნელობა, უწოდებენ გათბობის პროცესს “წყვეტილი” რეჟიმით.

გათბობის “წყვეტილი” რეჟიმის პირობებში ენერგიის ხარჯის ოპტიმიზაცია გულისხმობს გათბობის ხარჯის ისეთ მართვას, რომელიც დააკმაყოფილებს შენობის თბური ბალანსის განტოლებას და ცალსახობის გარკვეულ პირობებს. აქტუალურია გათბობის “წყვეტილი” რეჟიმის ოპტიმიზაციის ამოცანა გათბობაზე დახარჯული ენერგიის მინიმიზაციის მიზნით.

განხილულია სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების თბოაკუმულაციის მაჩვენებლები და მათი გავლენა გაცხელების სიჩქარეზე, მოცუმულია მასალების თბოფიზიკური მაჩვენებლების მნიშვნელობები.


2. ძირითადი ნაწილი

გათბობის “წყვეტილი” რეჟიმი მოიცავს სითბოს მიწოდების და შესაბამისად სათავსის შიგა ჰაერის ტემპერატურის ცვლილების 4 ერთმანეთთან დაკავშირებულ პერიოდს (იხ. ნახ.):

1. სტაციონარული პერიოდი, რომლის დროსაც სათავსში უზრუნველყოფილია სანიტარულ-პიგიენური ან ტექნოლოგიური მოთხოვნების შესაბამისი ნორმატიული თბური მაჩვენებლები (შიგა ჰაერის ტემპერატურა, გარემოში სითბოს დანაკარგები მუდმივია);
2. გაგრილების პერიოდი – დროის შეაღედი, რომლის განმავლობაშიც შიგა ჰაერის ტემპერატურა

პერატურა მცირდება ნორმირებულ მინიმალურ დასაშვებ ტემპერატურამდე;

3. პერიოდი მინიმალური დასაშვები ტემპერატურით (სტაციონარული მდგომარეობა დაბალ ენერგეტიკულ დონეზე);
4. ინტენსიური გათბობის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შენობის თბური რეჟიმი აღწევს საწყის სტაციონარულ მდგომარეობას ნორმატიული თბური მახასიათებლებით.



შიგა ჰაერის ტემპერატურის ცვლილების
სამაგალითო გრაფიკი “წყვეტილი”
რეჟიმით გათბობისას

1-ელ ნახ-ზე τ_1 არის დროის მომენტი როცა ხდება სათავსში სითბოს მიწოდების შემცირება ან შეწყვეტა; τ_2 -დროის მომენტი, საიდანაც იწყება სათავსში ჰაერის მინიმალური დასაშვები ტემპერატურის შენარჩუნება; τ_3 -დროის მომენტი, როცა იწყება სათავსის ინტენსიური გათბობა; τ_4 -დროის მომენტი როცა სათავსში მყარდება ჰაერის ნომინალური ტემპერატურა; t_6 და $t_{\text{მი}}$ – ნომინალური და სანიტარულ-პიგიენური ნორმებით ან ტექნოლოგიური ნორმებით დასაშვები მინიმალური ტემპერატურები შესაბამისად.

შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როცა შიგა ჰაერის ტემპერატურის შემცირება არ ხდება ნორმირებულ მინიმალურ ტემპერატურამდე, მაშინ ამ პერიოდს უშუალოდ ესაზღვრება ინტენსიური გათბობის პერიოდი.

გათბობის “წყვეტილი” რეჟიმის პირობებში ენერგიის ხარჯის ოპტიმიზაცია გულისხმობს $Q(\tau)$ გათბობის ხარჯის ისეთ მართვას, რომელიც დაკამაყოფილებს შენობის თბეური ბალანსის განტოლებას და ცალსახობის გარკვეულ პირობებს (საწყისი თბეური პირობები და ზოგიერთი შეზღუდვა – შიგა პარამეტრის მინიმალური და მინიმალური ნორმატიული ტემპერატურები).

ოპტიმიზაციის ამოცანა გულისხმობს გათბობის (E) ენერგიის მინიმიზაციას [1]:

$$E = \int_{t_1}^{t_2} Q(\tau) d\tau \rightarrow \min$$

ენერგიის მაქსიმალური დაზოგვის კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროცესის მეოთხე პერიოდი. რეკომენდაციების შესამუშავებლად საჭიროა შიგა პარამეტრის თბეური ბალანსის საფუძველზე ანალიზის ჩატარება.

ინტენსიური გათბობის პერიოდში მიწოდებული $Q(\tau)$ სითბო იხარჯება შიგა პარამეტრის გათბობაზე – $Q_{\text{პარ}}^*$, პარამეტრის ინფილტრაციის სითბოს კომპენსაციაზე – $Q_{\text{ინ}}$, შემომზღუდი კონსტრუქციების $\sum Q_i$ გათბობაზე – შენობის შიგნით მოთავსებულ ავეჯის ან მოწყობილობის გაცემელებაზე – $Q_{\text{ავე}}$. შიგა პარამეტრის თბეურ ბლანს აქვს სახ:

$$Q(\tau) = Q_{\text{პარ}}^* + Q_{\text{ინ}} + \sum Q_i + Q_{\text{ავე}}$$

ინტენსიური გათბობის პერიოდში ენერგიის მინიმიზაცია მიიღწევა ორი ძირითადი პირობის შესრულებით:

1. შენობაში სითბოს მიწოდება საჭიროა სითბოს წყაროს მთლიანი დადგმული სიმძლავრის გამოყენებით;
2. ინტენსიური გათბობის პერიოდში საჭიროა გათბობის სისტემის მობილური სქემის ამჟამავება (“სწორი” ორგანიზება), რაც გულისხმობს შენობის შიგნით ენერგიის ოპტიმალურ განაწილებას.

თბეური ბალანსის აღნიშნული კომპონენტები $\sum Q_i$ და $Q_{\text{ავე}}$ მნიშვნელობებით ერთმანეთის თანახომადია და გაცილებით აღემატება $Q_{\text{ინ}}$ და $Q_{\text{პარ}}^*$ მდგრედებს.

აღნიშნულის გამო შიგა პარამეტრის ტემპერატურა საკმაოდ სწრაფად აღწევს მის ნორმატიულ მნიშვნელობას, მაშინ როცა შიგა ზედაპირის გაცემელებას კედლის შესაბამის ნორმატიულ ტემპერატურამდე სჭირდება მნიშვნელოვნად მეტი დრო. ამიტომ, ინტენსიური გათბობის პერიოდში ენერგიის მინიმიზაციისათვის საჭიროა პირველ რიგში, და რაც შეიძლება სწრაფად, უზრუნველვყოთ თბეური ბალანსის უფრო თბოტევადი მდგრედების გათბობა, როგორებიცაა შემომზღუდი კონსტრუქციები და ავეჯი. ეს პირობა აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი პროცესის სრული ოპტიმიზაციისათვის.

სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების თბოტევულაციის მაჩვენებლები და მათი გავლენა გაცემელების სიჩქარეზე განხილულია ცხრილში მოყვანილი მასალების მაგალითზე. ცხრილში მოცემულია მასალების თბოტევიზიკური მაჩვენებლების მნიშვნელობები: ρ სიმკვრივე, მასური სითბოტევადობა- $c_{\text{ას}}$ და თბოგამტარობის λ კოეფიციენტი [2]. მოცელობითი სითბოტევადობის მნიშვნელობები მიიღება გამოსახულებით $c_{\text{გამ}} = c_{\text{ას}} \cdot \rho$, რაც ახასიათებს მასალების აკუმულაციის უნარს. თითოეული მასალის თერმული წინაღობა $R = \delta / \lambda = 1$. მაშინ მასალის სისქე რიცხობრივად თბოგამტარობის კოეფიციენტის ტოლია. ტემპერატურაგამტარობის კოეფიციენტი $a = \frac{\lambda}{c\rho}$ ახასიათებს მასალაში ტემპერატურის გათანაბრების სიჩქარეს (არასტაციონარულ პროცესს), შესაბამისი მნიშვნელობები მოცემულია მე-6 სეგტში.

**ზოგიერთი სამშენებლო მასალის თბოფიზიკური თვისებები და
თბოაკუმულაციის მაჩვენებლების შეფასება**

№	მასალა	სიმკრომ, გგ/მ ³		მასერთი სითბოტეებადობა, გკ/გგ/კ		თბოაკუმულაციის კოეფიციენტი კგ/გ		ტემპერატურაშიარიბის კოეფიციენტი, x10 ⁷ გგ/წელ		მასალის ქროი გარადუსით გასათხობად საჭირო ხილი, გკ		ტემპერატურის ცვლილება x10 ³ გრად/წელ		მასალის თბოშეფიციენტის კოეფიციენტი 24სათი პერიოდისათვის, გგ/წ/კ		დრო საჭირო ტემპერატურის ასაწევად 10°C - დან 16 °C-დან ხო	
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10						
1	ბეტონი ხრეშის ღორღზე	2400	0.84	2	9.92	4032	1.4	17.12	67.2								
2	წილაბეტონი	1800	0.84	0.81	5.36	1225	4.89	9.43	20.4								
3	აგური გამომწვარი	1800	0.88	0.75	4.73	1188	5	9.29	19.8								
4	ნახვრებებიანი აგური	1300	0.88	0.48	4.2	549	10.9	6.32	9.2								
5	ხის ბოჭკოვანი ფილები	600	2.51	0.145	0.96	218	27.4	3.98	3.6								
6	წილაბეტზაბეტონი	800	0.84	0.25	3.72	168	35.7	3.49	2.8								
7	თაბაშირის ფილა	700	1.05	0.22	2.99	162	37.1	3.43	2.7								
8	პემზაბეტონი	700	0.96	0.21	3.13	141	42.5	3.20	2.4								
9	პერამზიტობეტონი	600	0.84	0.21	4.17	106	56.7	2.77	1.8								
10	პერლიტბეტონი	400	0.84	0.13	3.87	44	137.4	1.78	0.73								
11	მინერალური ბამბის ფილა	200	0.75	0.065	4.33	10	615.4	0.84	0.16								
12	მინერალური ბამბა	150	0.75	0.05	4.44	5.6	1066.7	0.64	0.09								
13	პოლიმერი მიპორა	20	1.47	0.05	17	1.5	4082	0.33	0.02								
14	ჰაერი	1.293	1	0.025	193	0.03	185614	0.05	0.0005								

განსახილველი ზედაპირის ფართობი უდრის 1 მ², ხოლო მასზე მოქმედი თბური ნაკდი უდრის 100გტ. მასალის ერთი გრადუსით გათბობისათვის საჭირო სითბოს მნიშვნელობები მოცემულია მე-7 სვეტში.

მე-8 სვეტში მოცემულია მასალის ზედაპირის ტემპერატურის ცვლილების სიჩქარე, როცა მასზე მოქმედებს 100 გტ სიმძლავრის სითბოს წყარო.

მე-9 სვეტში მოყვანილია მასალის თბოშეფიციენტის კოეფიციენტების – S_{24} მნიშვნელობები გაანგარიშებული ფორმულით:

$$S_{24} = \sqrt{\frac{2\pi\lambda C\rho}{24 \cdot 3.6}}, \text{ where } \lambda^2/k$$

მე-10 სეკუნდი მოცემულია შედეგები, რომელიც ასახავს მასალების მიხედვით დროის ინტერვალს (სო), რომელიც საჭიროა შემომზღვდი კედლის შიგა ზედაპირის ტემპერატურის ასამაღლებლად ინტენსიური გათბობის რეჟიმიდან დაწყებული ნორმატიული რეჟიმის შესაბამის ტემპერატურამდე 16 °C (წყვეტილი გათბობის რეჟიმის დროს კედლის ტემპერატურა შემცირდა 10 °C –დე).

3. დასკვნა

ინტენსიური გათბობის პერიოდში ენერგიის მინიმიზაციისათვის საჭიროა პირველ რიგში, და რაც შეიძლება სწრაფად, უზრუნველვყოთ თბერი ბალანსის უფრო თბოტევადი მდგენელების გათბობა, როგორებიცაა შემომზღვდი კონსტრუქციები და ავეჯი. მასალების თბოფიზიკური თვისებების და თბოაკუმულაციის მაჩვენებლების შეფასებიდან ცნობილია, რაც უფრო ძირი მასალის თბოაკუმულაციის მაჩვენებელი ($c_{\text{მო}} = c_{\text{მას}} \cdot \rho$), მით მეტია გაცხელების სიჩქარე და მით ნაკლები ენერგიაა საჭირო მის გასაცხელებლად.

გათბობაზე დახარჯული ენერგიის მინიმიზაციის მეორე პირობის თანახმად ინტენსიური გათბობის პერიოდში (მეოთხე პერიოდი), საჭიროა

გათბობის სისტემის მობილური სქემის ამუშავება ("სწორი" ორგანიზება), რაც გულისხმობს შენობის შიგნით ენერგიის ოპტიმალურ განაწილებას და შიგა პაერიდან შემომზღვდი კონსტრუქციის შიგა ზედაპირზე თავისუფალი კონვექციის პირობებში თბოგაცემის კოეფიციენტის 4 - 5 ვტ/მ²/კ-დან მნიშვნელოვან გაზრდას 15-20 ვტ/მ²/კ-დე [3]. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია მაღალი თბოტევადობის მქონე ელემენტების პრიორიტეტული გათბობით. მაგალითად, შეიძლება კომბინაციები: პაერით და წყლით გათბობა; პაერით და შიგა შემომზღვდი კონსტრუქციების შიგა ზედაპირების გამოსხივებელი-კონვექციური ელემენტებით გათბობა; შეთბობა პაერის მიმართული ჭავლებით და სხვა.

ლიტერატურა

1. Бродач М.М. Повышение тепловой эффективности зданий оптимизационными методами. Дис. на соиск.учен.степени канд.техн. наук. М.: Ж НИИСФ, 1988.
2. გ. რატიანი, მ. გრძელიშვილი. სამშენებლო თბოფიზიკა. თბ.: განათლება, 1979.
3. Шкловер А.М. Теплопередача при периодических тепловых воздействиях. М.: ЖМ-Л. Госэнергоиздат, 1961.

UDC 722. 662: 998

OPTIMIZATION OF HEATING "INTERMITTENT" MODE FOR BUILDING

O. Kiguradze, G. Ketelauri, S. Baramidze

Department of heat and hidroenergetics, Georgian Technical University, 75, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is described artificial, or emergency provoked heat "intermittent" mode, energy consumption optimization issue in order to minimize the energy for heating, management of heat regime, the heat balance equation; thermophysical properties of building materials and construction with their thermal accumulation rates.

Key words: heating, intermittent mode; optimization; energy saving; energy efficiency; building materials; thermophysical properties; thermal accumulation.

УДК 722. 662: 998

ОПТИМИЗАЦИЯ "ПРЕРЫВНОГО" РЕЖИМА ОТОПЛЕНИЯ ЗДАНИЙ**Кигурадзе О.Д., Кетелаури Г.Г., Барамидзе С.Д.**

Департамент тепло- и гидроэнергетики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75

Резюме: Обсуждаются: сбой в режимах отопления (прерывный режим), виной которому является ручное или аварийное вмешательство; вопрос оптимизации затрат на энергию с целью минимизации расходов на отопление; управление режимами отопления; уравнение теплового баланса зданий; теплофизические свойства строительных материалов конструкций и показания их теплоаккумуляции.

Ключевые слова: отопление; прерывный режим; оптимизация; энергосбережение; строительные материалы; теплоаккумуляция.

მიღებულია დასაბუქფაზ 18.09.14

შპგ 536.6**სამომავის თბოუნარიანობის საკვლევი ხელსაყოფა თბილი ეპივალენტის
ბანსაზღვრა****ქ. ჩხიკვაძე**თბო- და ჰიდროენერგეტიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,
0175, თბილისი, გ. კოსტავას 75

E-mail: keti_chxikvadze@yahoo.com

რეზიუმე: განხილულია მყარი და თხევადი სათბობის თბოუნარიანობის საზომი ხელსაწყოს – XRY-1C-ს მუშაობის პრინციპი. განსაზღვრულია კალორიმეტრის თბური ეპივალენტი, რომლის მნიშვნელობაა 13947 კ/К საშუალო კვადრატული ცდომილებით 0,08%. დაგრადუირებისთვის გამოყენებულია სანიმუშო ნივთიერება - „სტუდენტი“, შექმნილი “STANCHEM”-ის მარ-

კის ბენზოინის მჟავას საფუძველზე, რომლის სისუფთავე ძირითადი ნივთიერების მიხედვით არის 99,24%, ხოლო თბოუნარიანობის მნიშვნელობა ტოლია $26437 \text{ კ/გ} \pm 0,78\%$.

საკვანძო სიტყვები: კალორიმეტრი; თბოუნარიანობა; თბური ეპივალენტი; ბენზოინის მჟავა; სანიმუშო ნივთიერება.


1. შესავალი

თანამედროვე ეკონომიკური და ეკოლოგიური მოთხოვნები ითვალისწინებს ორგანული სათბობის ეფექტურად გამოყენებას, რაც გულისხმობს წვის ისეთი პირობების შექმნას, რომლის დროსაც ხდება საწვავის მაქსიმალური წვა და შესაბამისად, მაგნე ნივთიერებების გამოყოფის მინიმალიზება. სადღეისოდ დამუშავებულია წვის პროგრესული ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობს ამ პრობლემის გადაჭრას. ამ ტექნოლოგიების სრულყოფილი გამოყენება მოითხოვს საწვავის თვისებების ერთეულობრივ შესწავლას. საწვავის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა მისი თბოუნარიანობა. თბოუნარიანობის ექსპერიმენტული შესწავლა ხდება კალორიმეტრით. კალორიმეტრის გამართული მუშაობისთვის საჭიროა მისი წინასწარ დაგრადუირება (კალიბრება), რომლის დროსაც ხდება კალორიმეტრის თბური ეპვივალენტის განსაზღვრა. ორგანული ნაერთების თბოუნარიანობის საზომი კალორიმეტრების კალიბრებისთვის რეკომენდებულია სანიმუშო ნივთიერება – ბენზოინის მჟავა [1].

2. ძირითადი ნაწილი

კალორიმეტრიული ხელსაწყო XRY-1C არის იზოთერმული კალორიმეტრი, რომელიც გამოიყენება თხევადი და მყარი ნივთიერებების თბოუნარიანობის განსასაზღვრად. მისი სიზუსტე ქარხული მონაცემებით შეადგენს 0,4%-ს. კალორიმეტრის სქემა მოცემულია პირველ სურათზე. იგი შედგება კალორიმეტრიული ჭურჭლისა (3) და გარსაცმისგან (4), რომელიც წყლიანი ჭურჭლია და უზრუნველყოფს კალორიმეტრიული ჭურჭლის გარემოსგან თბოიზოდირებას. გამოსაკვლევი ნიმუში მოთავსებულია სპეციალურ ტიგელში (1), რომელიც თავის მხრივ მაღალი წნევის კონტენერშია (2). წვისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით კონტენერი შევსებულია 25 ატმოსფერული წნევის მქონე ჟანგბადით. ეს კონტენერი მოთავსებულია გამოხდილი წყლით შექსებულ კალორიმეტრიულ ჭურჭლებში (3). იმისთვის,


ვის, რომ ცდის დროს ტემპერატურა წყლის მოცულობაში იყოს ერთი და იგივე, ხდება წყლის შერევა სპეციალური შემრევით (5). კომპიუტერული მართვის პროგრამა თერმომეტრიდან (6) მიღებული მონაცემების საფუძველზე სადენების (7) საშუალებით რთავს ელექტრულ წრედს, რაც ნიმუშთან წარმოქმნის ნაპერწალს. ნაპერწალი იწვევს საკვლევი ნიმუშის დაწვას. საკვლევი ნიმუშის დაწვის შედეგად გამოყოფილი სითბო გადაეცემა კალორიმეტრიულ ჭურჭლებში მოთავსებულ გამოხდილ წყალს. გამოხდილი წყლის მიერ მიღებული სითბოს რაოდენობის განსაზღვრით დგინდება საკვლევი ნიმუშის თბოუნარიანობა.



ნახ. 1. კალორიმეტრ XRY-1C-ის სქემა: 1-ტიგელი ნიმუშით; 2-კონტენერი მაღალი წნევის ჟანგბადით; 3-კალორიმეტრიული ჭურჭლი; 4-კალორიმეტრიული გარსაცმი; 5-სითბოს შემრევი; 6-თერმომეტრი; 7-სადენები

გაზომის მეთოდიკა შემდეგში მდგომარეობს: სტაციონარული ტემპერატურული რეჟიმის დამყარების შემდეგ, რომლის დროსაც ერთ წუთში ტემპერატურის ცვლილება არ აღემატება 0,001 გრადუსს, მართვის პროგრამა ხელსაწყოს გადაიყვანს განს გაზომის რეჟიმში, მოხდება ნიმუშის დაწვა. წვისას გამოყოფილი სითბოს გაკვლენით კალორიმეტრიულ ჭურჭლებში მოთავსებული გამოხდილი წყლის ტემპერატურა იწვებს ზრდას. ტემპერატურის მაქსიმალური მნიშვნელობის მიღწევის შედეგ ფიქსირდება გამოხდილი წყლის მაქსიმალური ანუ საბოლოო და ბაზური ანუ საწყის მნიშვნელობებს შორის სხვაობა.

მე-2 ნახაზე მოცემულია კალორიმეტრიული სისტემის მიმღინარე და საწყის ტემპერატურებს შორის ΔT სხვაობის დროის მიხედვით ცვლილების ტიპები გრაფიკი. წერტილი 1 შეესაბამება ტემპერატურის სხვაობას ექსპერიმენტის საწყის, ხოლო წერტილი 2 – ექსპერიმენტის საბოლოო მომენტში.



ნახ. 2. კალორიმეტრიული სისტემის ტემპერატურის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი: 1 – ექსპერიმენტის საწყისი მომენტის შესაბამისი წერტილი; 2 – ექსპერიმენტის საბოლოო მომენტის შესაბამისი წერტილი

კალორიმეტრიული სისტემის მიერ მიღებული სითბოს რაოდენობა და შესაბამისად საკვლევი ნიმუშის თბოუნარიანობა Q გამოითვლება ფორმულით

$$Q = H \cdot \Delta T, \quad (1)$$

სადაც H არის კალორიმეტრიული სისტემის ჯამური სითბოტეგადობა; ΔT – სისტემის საბოლოო და საწყის ტემპერატურათა შორის სხვაობა.

მოცემული ფორმულა გულისხმობს, რომ ნიმუშის წვის შედეგად გამოყოფილი სითბო მთლიანად ხმარდება კალორიმეტრიული სისტემის თბოშემცველობის გაზრდას. რეალურად კალორიმეტრი აბსოლუტურად თბოზოლირებული არ არის. მაგალითად, გამოხდილი წყლის შემრევის ზედა ნაწილი, ისევე, როგორც თერმომეტრის ზედა ნაწილი, კალორიმეტრის გარეთაა, ქვედა ნაწილი კი კალორიმეტრიულ ჭურჭელში. ეს იწვევს კალორიმეტრიული სისტემის ტემპერატურული

გელის დამახინჯებას, და აქედან გამომდინარე, მისი ჯამური სითბოტეგადობის განუზღვრელობას.

კონკრეტული კალორიმეტრიული სისტემის ჯამური სითბოტეგადობის ანუ თბური ეკვივალენტის განსაზღვრა შესაძლებელია კალორიმეტრის კალიბრით. არსებობს კალიბრების ორი მეთოდი – აბსოლუტური და ფარდობითი. აბსოლუტური მეთოდის შემთხვევაში სითბო გამოიყოფა კალორიმეტრში მოთავსებულ წინაღობაზე და მისი რაოდენობა განისაზღვრება წინაღობაში გამავალი დენისა და მასზე მოღებული ძაღვის საშუალებით. ფარდობითი მეთოდის შემთხვევაში ექსპერიმენტი ტარდება ცნობილი თბოუნარიანობის მქონე სანიმუშო ნივთიერებაზე. ორივე შემთხვევაში H პარამეტრის მნიშვნელობა განისაზღვრება (1) ფორმულის საშუალებით. ფარდობითი მეთოდის გამოყენება ექსპერიმენტის ჩატარების თვალსაზრისით უფრო მოსახერხებელია. ამასთანავე, იგი უზრუნველყოფს გაზომვების მაღალ სიზუსტეს.

განხილული XRY-1C კალორიმეტრის კალიბრება ჩატარდა ფარდობითი მეთოდით, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნა “STANCHEM”-ის მარკის ბენზოინის მჟავას საფუძველზე შექმნილი სანიმუშო ნივთიერება “სტუ-1”, რომლის სისუფთავე ძირითადი ნივთიერების მიხედვით არის 99,24%, ხოლო თბოუნარიანობის მნიშვნელობა ტოლია $26437 \text{ ჯ/გ} \pm 0,78\%$ [2].

კალიბრება ჩატარდა ხუთ ნიმუშზე. მიღებული საკალიბრო მონაცემებია: 13943 ჯ/K, 13928 ჯ/K, 13918 ჯ/K, 13076 ჯ/K და 13970 ჯ/K, საშუალო მნიშვნელობით 13947 ჯ/K. H პარამეტრის საშუალო სიდიდის საშუალო კვადრატული ცდომილება შეადგენს 0,08%-ს.

სანიმუშო ნივთიერების - სტუ-1-ს თბოუნარიანობის მნიშვნელობის სიზუსტის გათვალისწინებით, XRY-1C კალორიმეტრზე საკვლევი ნივთიერების თბოუნარიანობის გაზომვის ექსპერიმენტული ცდომილება შეადგენს 1,2%-ს. სიზუსტის ასეთი დონე სრულიად მისაღებია ისეთი კვლევა-

ბისთვის, როგორიცაა ორგანული საწვავის თბოუნარიანობის შესწავლა.

0,08%. კალორიმეტრ XRY-1C-ით საკვლევი ნივთიერების თბოუნარიანობის გაზომვის ექსპერიმეტული ცდომილება შეადგენს 1,2%-ს.

3. დასკვნა

განხილულია კალორიმეტრ XRY-1C-ს მუშაობის პრიციპი. ჩატარებულია ხელსაწყოს კალიბრება, რისთვისაც გამოიყენებულია ბენზოინის მჟავის საფუძველზე შექმნილი სანიმუშო ნივთიერება სტუ-1. განსაზღვრულია ხელსაწყოს თბური ეკვივალენტის სიდიდე, რომლის მნიშვნელობაა 13947 ჯ/К საშუალო კვადრატული ცდომილებით

ლიტერატურა

1. Олейник Б.Н. Точная калориметрия. Москва, 1964.-160с.
2. ვ. კიდურაძე, ქ. ჩხილაძე, თ. ჩხილაძე. სათბობის თბოუნარიანობის სანიმუშო ნივთიერების შექმნა ბენზოინის მჟავას ბაზაზე // სტუ-ს მრომები №3 (493). თბილისი, 2014.

UDC 536.6

DEFINITION OF THERMAL EQUIVALENT OF FUEL CALORIFIC VALUE MEASUREMENT EQUIPMENT

K. Chkhikvadze

Department of heat and hydroenergetics, Georgian Technical University, 75, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is discussed is working principle of solid and liquid fuel calorific value measurement equipment – XRY-1C. The thermal equivalent of the calorimeter is defined, which is equal to 13947 j/K with the standard error of 0.08%. For calibration it is used exemplary substance – STU-1, created on the basis of benzoic acid brand STANCHEM, which purity according to main substance is 99,24% and calorific value is equal to 26,437 j/g ±0,78%.

Key words: calorimeter; calorific value; thermal equivalent; benzoic acid; exemplary substance.

УДК 536.6

ОПРЕДЕЛЕНИЕ ТЕПЛОВОГО ЭКВИВАЛЕНТА ПРИБОРА ДЛЯ ИССЛЕДОВАНИЯ ТЕПЛОТВОРНОЙ СПОСОБНОСТИ ТОПЛИВА

Чхиквадзе К.Т.

Департамент тепло- и гидроэнергетики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75

Резюме: Рассмотрен принцип работы прибора для измерения теплотворной способности твердых и жидкых топливных веществ. Определен тепловой эквивалент калориметра, величина которого имеет значение 13947 Дж/К со среднеквадратичной погрешностью 0,08%. Для градуировки использовано образцовое вещество "СТУ-1", созданное на базе бензойной кислоты марки "STANCHEM", чистота которой по основному веществу составляет 99,24% и теплотворная способность которой равна 26437 дж/г ±0,78%.

Ключевые слова: калориметр; теплотворная способность; тепловой эквивалент; бензойная кислота; образцовое вещество.

მიღებულია დასაბუქრად 18.09.14

ԱԶԹԹ-ՁԵԹԸԹՅՈՒՆ

ԵԳՅՅՈՒՆ

УДК 622.276

LabView პროგრამულ გარემოში კი ეს ოპერაცია საკმაოდ რთულია. უნდა აღინიშნოს რომ პროგრამას უნდა ჰქონდეს დაინსტალირებული IMAQ Vision National Instruments ჩანართი. [3]


IMAQ მოიცავს მზა მოღულებს გამოსახულებათა იმპორტირებისათვის პრაქტიკულად ვიდეოსიგნალების ნებისმიერი წყაროებიდან. IMAQ Vision პროგრამაში მოცემულია ფუნქციათა მდიდარი არსენალი გამოსახულებათა დამუშავებისათვის. MathCad პროგრამულ გარემოში ეს ფუნქციები უშუალოდ მოცემულია თვითონ პროგრამაში.

თვალსაჩინოებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი, რომელიც ეხება გამოსახულების მონაცემთა შეკუმშვის რეალიზაციას. MathCad პროგრამულ გარემოში ეს ხდება CFFT ფუნქციის გამოყენებით და გარდაქმნის (სპექტრულ) არეში იმ კოფიციენტების შენარჩუნებით, რომლებიც აკმაყოფილებს დასმულ მოთხოვნებს. შემდეგ გამოსახულების ადგენა ხდება ICFFT ფუნქციის მეშვეობით შენარჩუნებული კოეფიციენტებით.

$$W:=\text{CFFT}(M) \quad N_1:=\text{floor}(0,1N^2)$$

$$W_1:=\text{shrink}(W,N_1,\text{filter}) \quad C:=\text{ICFFT}(W)$$

LabView პროგრამულ გარემოში შეკუმშვის პროცედურას აქვს სახე, რომელიც მოცემულია მე-5 ნაბ-ზე.



ნახ. 5. გამოსახულების შეგუმშვის პროგრამა

კვლევის ობიექტად გამოყენებული იყო ბიტი 8 ბიტიანი გამოსახულება 256×256 პიქსელების რაოდენობით. კვლევის მსგალელებისას, ჩვენ დავორწმუნდით, რომ შედეგების ერთნაირი ხარისხის მიღების პირობებში MathCad პროგრამული გარემო მოითხოვს გაცილებით ნაკლებ რესურსებს დასმული ამოცანის შესასრულებლად, ვიდრე LabView პროგრამული გარემო.

3. დასკვნა

1. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რამდენად მოხერხებულია LabView და MathCad პროგრამული გარემო პრაქტიკული, საინჟინრო და კვლევითი ამოცანების გადაწყვეტისათვის კომპიუტერული ტექნოლოგიების ბაზაზე.

2. MathCad პროგრამულ გარემოში სასურველი ალგორითმების რეალიზაცია უფრო მარტივია მოცემული მზა ფუნქციებისა და მოდულების გამო.

3. MathCad პროგრამულ გარემოში ალგორითმის შესრულება ხდება დახურულ რეჟიმში და დაშვებულ შეცდომებს მომხმარებელი შეიტყობს რეალიზაციის ბოლოს.

4. LabView პროგრამულ გარემოში Block Diagram-ზე ნაჩვენებია დაშვებული შეცდომა. ამავე დროს შეცდომა აისახება შესრულების (Run) პიქტოგრამაზე. (მთლიანი ისარი გადაიქცვა წყვეტილად).

5. როგორც MathCad ასევე LabView პროგრამები არის ურთიერთთავებადი: ერთი პროგრამიდან მეორეში შეადგენური შედეგების გადატანა ხდება ელემენტარულად, რაც იძლევა საშუალებას დასმული ამოცანათა გადაწყვეტისას ორივე პროგრამის გამოყენებისა და შერწყმის.

6. საინჟინრო ამოცანების შესასრულებლად LabView პროგრამული გარემო უფრო თვალსაჩინოა სქემების წარმოდგენის თვალსაზრისით.

7. საინჟინრო პრობლემების გადაწყვეტის სპეციალის LabView პროგრამულ გარემოში გაცილებით ფართოა, ვიდრე MathCad პროგრამულ გარემოში.

ლიტერატურა

1. Визильтер Ю.В., Желтов С.Ю., Князь В.А., Ходарев А.Н., Моржин А.В. Обработка и анализ цифровых изображений с примерами на LabView и IMAQ Vision. Москва.: ДМК пресс, 2007.- 464 с.
2. Кудрявцев Е. М. Mathcad 8. Символьное и численное решение разнообразных задач. Москва: ДМК, 2000.- 320 с.
3. Батырин П.А., Васьковская Т.А., Каратаев В.В, Мажерикин С.В. Автоматизация физических исследований и эксперимента: компьютерные измерения и виртуальные приборы на основе LabView. Москва: ДМК, 2012.- 265 с.

UDC 621.397.13

THE COMPARATIVE ANALYSIS OF DATA PROCESSING IN THE LabView AND MathCad ENVIRONMENTS

I. Chkheidze, L.Tokadze

Department of microprocessor and measuring systems, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: The article provides a comparative analysis of the data in the software environments MathCad and LabView to identify the advantages and disadvantages of each. There was studied as one-dimensional (signals) so two-dimensional (image) objects. According to the analysis there was found, that both media MathCad and LabView are the most visible and adapted for practical solutions, engineering and research applications based on computer technologies. Among MathCad implementation of algorithms is more simple thanks to ready functions and module, but spectrum to solve engineering problems in LabView environment is wider, than the environment MathCad.

Key words: LabView; MathCad; data processing; comparative analysis; signal; image; algorithm

УДК 621.397.13

СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ ОБРАБОТКИ ДАННЫХ В СРЕДАХ LabView И MathCad

Чхеидзе И.М., Токадзе Л.Ш.

Департамент микропроцессорных и измерительных систем, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77

Резюме: Проведен сравнительный анализ обработки данных в программных средах MathCad и LabView с целью выявления преимуществ и недостатков каждой из них. Исследовались как одномерные (сигналы), так и двумерные (изображения) объекты. В результате исследования установлено, что обе среды - MathCad и LabView являются наиболее наглядными и приспособленными для решения практических, инженерных и исследовательских задач на базе компьютерных технологий. В среде MathCad реализация алгоритмов более проста благодаря готовым функциям и модулям. Однако спектр решаемых инженерных проблем в среде LabView шире, чем у среды MathCad.

Ключевые слова: LabView; MathCad; обработка данных; сравнительный анализ; сигнал; изображение; алгоритм.

გთხოვთ განვითაროთ 18.09.14

შაპ 004.055

სახელმწიფო და სასამართლო სისტემის მართვის სრულყოფის საპითხები

გ. გოგიჩაიშვილი, გ. სურგულაძე, მ. ახობაძე, გ. ღვინევაძე*, თ. სუხიაშვილი
მართვის ავტომატიზებული სისტემების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, 0175, თბილისი, გ. კოსტავას 77

E-mail: gvinepadzegela@gmail.com

რეზიუმე: თანამედროვე კომპიუტერულ სისტემებს, წინამორბედებისაგან განსხვავებით, მუშაობა უწევთ ტერიტორიულად და დროში განაწილებულ ქსელურ გარემოში. ამასთან, მათ მოთხოვებათ სწრაფად მოახდინონ მისადაგება ახალ მოთხოვნებთან. თანამედროვე კომპიუტერული სისტემების შექმნისადმი ასეთი მიდგომა მოითხოვს ერთობლივი ქმედებების დეტალურად შეთანხმებას არა მარტო სასამართლო სისტემის მუშაკებს შორის, არამედ მათი ურთიერთობებისა ზემდგომი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. სტატიაში მოცემულია რეკომენდაციები კომპიუტერული სისტემების დამპროგებებისათვის ხელისუფლების ამ შტოებს შორის ურთიერთობების სრულყოფისათვის.

საკვანძო სიტყვები: სასამართლო; სასამართლოების საერთო სისტემა; სამართალწარმოება; კომპიუტერული სისტემა.


1. შესავალი

საქართველოს გადასვლამ ახალ ეკონომიკურ წერილაზე სახელმწიფოს მიერ მართული მრავალი სფერო და აუკინა ძირებული ცვლილებების საჭიროების წინაშე და ბუნებრივია, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქვას სასამართლო ხელისუფლების მისამართით. აქ მიმდინარე პროცესების გარდაქმნა-სრულყოფა არცთუ აღვილი საქმე აღმოჩნდა და ჩანს, რომ ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა.

უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრა (ერთი დრო მას ორგანიზაციული მართვის დეპარტამენტიც ეწოდებოდა) აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის საერთო სასამართლოების სისტემისათვის შესაბამისი დანიშნულების მქონე კომპიუტერული სისტემის შექმნის პროცესში, რის შედეგადაც მის თანამშრომლებს ამ სფეროში დაუგროვდათ გარკვეული გამოცდილება. მართალია, დღეს ეს კათედრა აღნიშნული მიმართულებით საქმიანობას აღარ ეწევა, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებისათვის სულაც არ უნდა იყოს უინტერესო კათედრის (დეპარტამენტის) თანამშრომლების მიერ დაგროვილ საკმაოდ დიდ და, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან გამოცდილებასთან გაცნობა. ხოლო, თუ რამდენად იქნება კათედრის წევრების მიერ შემოთავაზებული რჩევები, რეკომენდაციები გათვალისწინებული არსებული ან მოღიფიცირებული სახით, ეს უკვე სხვა საქმეა.

2. მირითადი ნაწილი

შპე 20 წელია, რაც საქართველოში ინტენსიურ რად და ფართო მასშტაბით მიმდინარეობს სასამართლო რეფორმა. ქვეყნაში საფუძვლიანად განახლდა საერთო სასამართლოების საქმეთა წარმოების მთელი სისტემა. კერძოდ, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს პროცესები დღესაც ინტენსიურად გრძელდება.



სადღეისოდ ნებისმიერ სფეროში წინსვლა, თვისებრივად გაუმჯობესებული შედეგების მიღება უცილობლად გულისხმობს ორგანიზაციის, დაწესებულების, დარგის და ა.შ. საქმიანობის კომპიუტერიზაციასაც, ხწორედ ამის გამო გახდა საჭირო ამ პროცესებში ჩვენი პროფილით მომზავე თანამშრომლების ჩართვა. აღნიშნულ პროცესში თავდაპირებულად აქცენტი გაკეთდა სამაგიდო დანიშნულების მქონე კომპიუტერული პროდუქტის შექმნაზე ანუ ფაქტობრივად, მოსამართლის უზრუნველყოფაზე კომპიუტერიზებული სამუშაო ადგილით. შემდეგ კი დაიწყო ქსელური სისტემის კონცეფციის შემუშავება, რაც საქმაოდ მოკლე ხანში გადაიზარდა მოთხოვნაში – საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემისათვის მთელი ქვეების მასშტაბით შექმნილიყო ტერიტორიულად და დროში განაწილებული ქსელური გარემო, რომელიც უზრუნველყოფდა ამ სისტემის სხვადასხვა საფეხურებს შორის ინფორმაციის ოპერატორულად მიმოცვლას და შესაბამისად, მთელი ამ სისტემის მართვა გახდებოდა გაცილებით უფრო მოქნილი და ეფექტური.

თუ რამდენად როგორ სისტემასთან გაქონდა საქმე, ამის თაობაზე წარმოდგენას შეგვიქმნის თუნდაც მხოლოდ ერთ-ერთი სამუშაო დიაგრამა, რომელიც ასახავს სასამართლოების მიერ განხილული საქმეებიდან ერთ-ერთი მიმართულების – სისხლის სამართლის საქმეების განმხილველი პროცესებისათვის კომპიუტერული სისტემის ასაგებად განკუთვნილ ზოგად სქემას (იხ. ნახ.).

ამრიგად, კომპიუტერული სისტემის თითოეული ვერსია (ბუნებრივია, გარდა პირველისა) ცარიელ ადგილზე არ იქმნებოდა. მაგრამ, როგორც საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, დამპროექტებულთა ურველ ახალ ჯგუფს, რეალურად საქმიანი ურთიერთობა არ ჰქონდა დამპროექტებულთა წინა ჯგუფთან (მით უფრო კიდევ უფრო წინა ვერსიაზე მომუშავეებთან), რაც, ჩვენი დაკვირვებით, მნიშვნელოვნად აფერხებდა საქმის წინსვლას.

შესაბამისად, პირველი რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც სასურველი იქნებოდა ხელმძღვა-

ნელ სტრუქტურებს, რგოლებს გაეთვალისწინებინათ, ასეთია (შევნიშნავთ, რომ ეს რეკომენდაციები მხოლოდ სასამართლო სტრუქტურების საქმიანობის ავტომატიზების შემთხვევისათვის არაა განკუთვნილი):

- როცა ჯგუფი მუშაობას იწყებს კომპიუტერული სისტემის ახალი ვერსიის შექმნაზე, სასურველია მისი წევრები კარგად გაცნონ წინა ჯგუფის მუშაობის შედეგებს, არ დაქმაყოფილდენენ მხოლოდ სისტემის თანმხლები ინსტრუქციების შესწავლით, რომლებიც, როგორც წესი, ბოლომდე სრულყოფილი თითქმის არასოდეს არის, ზოგჯერ კი საერთოდაც არ არსებობს;

- კიდევ უფრო მეტი უფასების მომტანი იქნება ახალ ჯგუფში წინას თუნდაც ერთი წარმომადგენლის ჩართვა, შესაბამისი ანაზღაურებით. ამასთან, შესაძლებელია ეს განხორციელდეს ახალი ვერსიის შემუშავების მხოლოდ თავდაპირველ ეტაპზე.

შემდეგ, ზემოთ აღნიშნული ცვლილებები ქვემის პოლიტიკურ წყობის, კონომიკისა თუ მრავალი სხვა მიმართულებით, ცხადია, ცვლილებებს იწვევს სასამართლოების მიერ განსახილველი საქმეების თემატიკაშიც. ამასთან, ეს პროცესები ძალიან დინამიკურად ვითარდება. შესაბამისად, ზემდგომი ორგანოები, სიტუაციის მართვის მიზნით, საჭიროებს მეტნაკლებად დეტალურ ინფორმაციას – რა ხდება ამ მხრივ ქვეყანაში, რათა საკანონმდებლო ინიციატივების განხორციელებით დროული რეაგირება მოახდინოს ახალ სიტუაციაზე. მაშასადამე, სასამართლოს მიერ სამივე მიმართულების (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული) საქმეების ანალიზისას უნდა ვფლობდეთ მექანიზმს იმ ტენდენციების გამოსავლინებლად, რომლებიც ოპერატორულ რეაგირებას საჭიროებს.

ვთვლით, რომ დასმული საკითხი შესაძლებელია ამგვარად გადაწყვდეს:

- საქმეების შესახებ ელექტრონული ფორმებიდან ამ საქმეებში განხილული თემების სახეობათა (ქვესახეობების) მაიდენტიფირებელი პუნქ-

ტემიდან სპეციალური კომპიუტერული დანართის მეშვეობით გამორჩეული და გაანალიზებულ იქნეს ნებისმიერ დონეზე პუნქტი “სხვა”, შემდეგ მოხდეს რაოდენობათა მიხედვით მათი დახარისხება და შესაბამისი მონაცემები მიეწოდოს იმ სელმძღვანელ მუშაკებს (საბოლოო მომხმარებელს), რომელთა ფუნქციებში შედის სწორედ ასეთ ვითარებაზე დროული რეაგირება;

- სასურველია შეფასებების ამა თუ იმ პოზიციის მნიშვნელოვნება და ასეთი “სხვა” საქმეთა რაოდენობა გამორავლდეს შესაბამის კოეფიციენტზე.

ქვემოთ საილუსტრაციოდ მოყვანილია ადმინისტრაციული სამართლწარმოების მიმართულების ერთ-ერთი საანგარიშო ფორმიდან საქმაოდ გრძელი იერარქიული სახის მქონე საქმეების სახეობათა სიის ფრაგმენტი. მიაქციეთ ყურადღება, რომ ელექტრონულ კერსიაში დამპროექტელთა ჯგუფის მიერ ყველა დონეზე (შუალედურსა თუ საბოლოოზე) გათვალისწინებულია პუნქტი “სხვა”.

3. დავები ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე

4. დავები ადმინისტრაციული ორგანოს ქმდების განხორციელების ან ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების თაობაზე აქტის გამოცემის თაობაზე

5. დავები აღიარებით სარჩელთან დაკავშირებით (მათ შორის):

5.1. აღმ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების თაობაზე

5.2. სხვა

6. ადმ. ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავები (მათ შორის):

6.1. პრივატუაციის თაობაზე (მათ შორის):

6.11. პრივატუაციის თაობაზე

6.12. სხვა

6.2. საიჯარო ურთიერთობიდან გამომდინარე

6.3. საჯარო შეხყიდვებთან დაკავშირებით

6.4. სხვა

7. ადმ. ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე

8. საგადასახადო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები (მათ შორის)

9. —

10. სხვა

საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვის შესახებ ჯამური ინფორმაციის მომწოდებელი სტატისტიკური ფორმის ამ ფრაგმენტიდან ჩანს, რომ ჩამონათვლის ნებისმიერ განშტრებად კვანძში, კონკრეტული შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელი ქვეპუნქტების გარდა, ფიგურირებს ქვეპუნქტი – “სხვა”-ც. მისი დანიშნულება გამჭვირვალეა:

- პერიოდულად დგება საკითხი, გადაიხედოს ამ სიის შემცველობა და მოხდეს მისი კორექტორება. მიგვაჩნია, რომ ეს ფუნქცია შესაძლებელია დაეკისროს სპეციალურ პროცედურას, რომელიც დაითვლის, გადააჭარბა თუ არა ასეთი “სხვა” საქმეების რაოდენობაში რაიმე ზღვარს და ამის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის სისტემურ ადმინისტრატორს.

- შესაბამისი უფლების მქონე იურისტები გადაწყვეტენ, საჭიროა თუ არა “სხვა” პუნქტებიდან ერთი ან რამდენიმე ახალი ქვეპუნქტის გამოყოფა.

- საქმე გაადვილდება, თუ ასეთი პუნქტებისათვის გათვალისწინებული იქნება ტეგების მეშვეობით საქმეების დახასიათება.

მთელ სისტემაში “ვიწრო” ადგილების გამოვლენის საკითხი (მით უფრო როცა საქმე გაქვს ტერიტორიულად და დონეზი განაწილებულ ქსელურ გარემოსთან) უპრიანია დაგსვათ უფრო ზოგადი სახითაც, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალში მოსალოდნელი არასასურველი შედეგების პრევენციისათვის.

ცხადია, კომპიუტერული სისტემის მომხმარებლებისათვის (ე.წ. აქტორებისთვის) დეტალურად უნდა დამუშავდეს სასამართლო საქმეზე მუშაობის წესები, სისტემამვე უნდა გააკონტროლოს სასამართლო პერსონალის საქმიანობა. მართლაც,

სისტემა საშუალებას იძლევა, ჩაიდოს მასში ნებისმიერი მოსამართლის თუ კოლეგიის შეშაობის ეფექტიანობის შემოწმება-შეფისების მექანიზმი. მაგრამ ასეთი ფუნქციების შესრულებით სისტემა მხოლოდ კონტროლიორის როლში არ გამოდის – იგი სასამართლოს ნებისმიერი რანგის მუშავისთვის ასრულებს თანაშემწის, მეგობრის როლსაც. კერძოდ, აფრთხილებს მას “ვიწრო” ადგილების შესახებ, დროულად შეახსენებს დაკისრებულ მოვალეობებს, საერთო ან მის მიერვე განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით დაუხარისხებს საქმეებს, ბაზაში შენახულ, ნებადართულ ინფორმაციას გამოუტანს ნებისმიერი სასურველი სახით.

სისტემის დაპროექტებისა ან მოდიფიცირებისას, პირველ რიგში, უნდა მოხდეს სამართალწარმოების იმ ეტაპების (და ქვეებაპების) ავტომატიზება, რომლებიც, ფაქტობრივად, ცვლილებებს არ განიცდის და რომელთა რეალიზებაც აუცილებელია ნებისმიერი საქმისათვის, როგორიცაა, მაგალითად, სარჩელის (განცხადების) დარეგისტრირება, საქმის აღმერა ან სარჩელის მიღებაზე უარის თქმა და ა.შ.

სისტემის დაპროექტების შემდგომ საფეხურებზე შეიძლება საქმაოდ ადვილად მოხდეს სისტემის ფუნქციონირებისთვის შედარებით ნაკლებნიშვნელოვანი სამართალწარმოების ეტაპების შესატყვისი პროგრამული მოდულების დამატება (თუმცა ამ მოდულების შესაქმნელად საჭირო ძალისხმევა შესაძლოა საკმაოდ მნიშვნელოვანიც იყოს). ასეთი ეტაპების მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ: მოსამართლებს შორის საქმეების განაწილება; კონკრეტულ ადმინისტრაციულ საქმეზე სასამართლო კოლეგიის ფორმირება და სხვ.

აღვნიშნოთ, რომ სამართალწარმოების ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპები ავტონომიურობის მაღალი სარისხით ხასიათდება და მათი ავტომატიზაციის მოგვიანებით განხორციელება სისტემის ფუნქციონირებას ვერ შეაფერხებს.

შემდეგ, სისტემის დროსა და სივრცეში განაწილება გულისხმობს, რომ იგი უზრუნველყოფს კონკრეტულ საქმეზე სხვადასხვა რანგის სასამარ-

თლოს მოხელეების კოლექტიურ, შეთანხმებულ მუშაობას. სისტემა “აიძულებს” სასამართლოს პერსონალს, დროზე მიიღონ საჭირო გადაწყვეტილებანი და დააფიქსირონ ისინი მონაცემთა ბაზაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მათ მუშაობაში ხარვეზების გამოვლენა-დაფიქსირება და შესატყვისი ინფორმაციის მიწოდება როგორც ზემდგომი ინსტანციებისთვის, ასევე მოცემული ადმინისტრაციული საქმით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის. მოსამართლის პასუხისმგებლობას გააძლიერებს ისიც, რომ სერვერზე ინფორმაციის დარეგისტრირების შემდეგ მოსამართლეს (ან სხვა მოხელეს) უფლება აღარ ექნება, შეცვალოს მისი ნაწილი, ხოლო გარკვეული ნაწილის კორექტირებაზე ნებართვა გაიცემა მხოლოდ ხელმძღვანელობის მიერ.

ყოველი ახალი ვერსიის დამუშავებისას ხელახლა მკაცრად უნდა დადგეს მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შეტანა-კორექტირების უფლება-მოსილებათა გამიჯვნის საკითხი. თანამედროვე ოპერაციული სისტემები და მონაცემთა ბაზები სისტემასთან მომუშავე პერსონალის უფლებამოსილებათა გამიჯვნისათვის მეტად მოხერხებულ საშუალებებს გავაწილონ და აუცილებელია მათი გამოყენება.

გთავაზობთ კიდევ რამდენიმე რეკომენდაციას:

- რომ გაადვილდეს კომპიუტერულ სისტემასთან მუშაობის შესწავლის პროცესი, დასაწყისში სისტემაში „შეალედურ“ ინფორმაციას შეიტანს ოპერატორი (მის როლში ხშირად გამოდის მოსამართლის თანაშემწე). ბაზაში ინფორმაციის გადაგზვნაზე დასტურის გაცემა კი შეეძლება მხოლოდ საქმის წარმართველ მოსამართლეს შეტანილ ინფორმაციასთან გაცნობის შემდეგ;
- ოპერატორის მიერ შეტანილ ინფორმაციასთან გაცნობის და საჭიროების შემთხვევაში მისი კორექტირება შეეძლება მოსამართლის თანაშემწესაც;
- რადგანაც შეტანილ ინფორმაციასთან გაცნობის უფლება ნებისმიერ პირს უნდა პქონდეს, სისტემა უნდა ასრულებდეს ერთგვარ საინფორმა-

ციო ტაბლოს როდსაც. დიალოგის ფანჯრების ელექტრონული მათთან შეღწევისას ჩართვა-გამორთვადა სხვადასხვა უფლებამოსილების მქონე სასამართლო მუშაკებისა თუ, სულაც, გარეშე პორებისათვის.

3. დასკვნა

სტატიის ავტორები წლების განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართული ქვეყნის საერთო სასამართლოებისთვის კომპიუტერული სისტემის შექმნის პროცესში. შედეგად მათ მოცემულ სფეროში დაუგროვდათ გარკვეული გამოცდილება, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოიყენოთ ტერიტორიულად და დროში განაწილებულ ქსელურ გარემოში მომუშავე სისტემის ახალი ვერსიების შემუშავებისას.

სტატიაში მოცემულია რეკომენდაციები კომპი-

უტერული სისტემების დამპროექტებლებისათვის, რომელთა გათვალისწინება, ავტორთა აზრით, აამაღლებს სასამართლო პერსონალის როგორც შიგაუწყებრივ, ასევე ხელისუფლების ზემდგომ შტოებთან ურთიერთობების ეფექტუანტობას.

ლიტერატურა

- თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში. თბილისი, 2002 წ.
- სამოქალაქო საქმეთა განხილვის სტატისტიკური დამუშავების სისტემა. ვერსია 1.98. თბილისი, 2002.
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. თბილისი: სამართალი, 2006.
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. თბილისი: სამართალი, 2006.

UDC 004.055

THE STATE AND CONCERNS ABOUT THE REFINEMENT OF THE JUDICIAL SYSTEM

G. Gogichaishvili, G. Surguladze, M. Akhobadze, G. Gvinepadze, T. Sukhiashvili

Department of management of automated systems, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: Modern computer systems differ from their predecessors in that, they are intended to work in a network environment diverse in territory and time. Furthermore, they must adapt quickly to requirements and changes in the government. This approach to the creation of a system requires detailed agreement of joint actions, not only regarding to judicial matters, but also referring to the relations with higher authorities. The article provides guidance for developers of computer systems with the goal to improve the interactions between these branches of government.

Key words: court; general system of courts; proceedings computer system.

УДК 004.055

ГОСУДАРСТВО И ВОПРОСЫ УСОВЕРШЕНСТВОВАНИЯ УПРАВЛЕНИЯ СУДЕБНОЙ СИСТЕМОЙ**Гогичаишвили Г.Г., Сургуладзе Г.Г., Ахобадзе М.Н., Гвинепадзе Г.Ш., Сухиашвили Т.А.**

Департамент управления автоматизированными системами, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77

Резюме: Современные компьютерные системы от своих предшественников отличаются тем, что им предстоит работать в распределенной по территории и во времени сетевой среде. К тому же они должны быстро адаптироваться к новым требованиям.

Такой подход к созданию системы требует детального согласования совместных действий не только между судебными, но и их отношений с вышестоящими властями.

В статье даются рекомендации для разработчиков компьютерных систем с целью усовершенствования взаимодействия этих ветвей власти.

Ключевые слова: компьютерные системы; судебная система; судья; база данных.

გთხოვთ განვითაროთ 16.09.14

შპ 62-5

ქალაქის ფუნქციურ-სივრცული განვითარების იმიტაციური მოდელირება და მართვა

მ. ახობაძე*, ელ. კურცხალია, თ. ბახტაძე, ნ. ვარძიაშვილი

ინტერდისციპლინური ინფორმატიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 77

E-mail: meakhobadze@yahoo.com

რეზიუმე: ნაშრომში მაკროსისტემური მოდელირების პრინციპზე დაყრდნობით შექმნილია ქალაქის ფუნქციურ-სივრცული განვითარების იმიტაციური მოდელი, რომლის საფუძვლზე შესაძლებელია აიგოს ექსპერტული სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ ქალაქის განვითარების გეგმა.

საკვანძო სიტყვები: მათემატიკური მოდელირება; მართვა; ქალაქი; ექსპერტული სისტემა.

1. შესავალი

ქალაქი საზოგადოებრივი განვითარების უველა სფეროს მატერიალური ასახვა. ქალაქური, ურბანული სისტემების ფორმირება მიმდინარეობს ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ახლა უკვე მსოფლიოს მოსახლეობის 51% ცხოვრობს ქალაქებში. 2050 წლისათვის იცხოვ-რებს მოვდი მოსახლეობის 2/3.

ქაოსის თეორიის თანახმად, ჩვენ მიერ დაშვებულ ჰატარა შეცდომას ქალაქის დაგეგმვისას, მის ფუნქციურ-სივრცით განვითარებას შეიძლება შემდგომ მოპყვეს გამოუსწორებული შეცდომები. აქედან გამომდინარე, მდგრადი განვითარების პრინციპი გვავალდებულებს შევქმნათ ისეთი ექსპერტული სისტემები, რომლებიც საშუალებას მოგცემენ შევაფასოთ ჩვენი ყოველი გადაწყვეტილება, ქალაქის განვითარების გეგმის შემუშავებისას, რათა არ დაგუშვათ ისეთი შეცდომები, რომლებიც შემდგებარებისტროფამდე მიგვიყვანს.

ჩვენს ნაშრომში მოყვანილია ქალაქის ფუნქციურ-სივრცული განვითარების ექსპერტული შეფასების სისტემის აგების პრინციპი.

2. ძირითადი ნაწილი

ქალაქი სპეციფიკური სივრცული გარემოა, რომლის ფორმირება ხორციელდება საზოგადოების განვითარების პროცესთან ერთად. ქალაქი წარმოადგენს საზოგადოებრივი განვითარების კველი სფეროს მატერიალურ ასახვას. ქალაქური სისტემის ფორმირების პროცესი ხორციელდება სანგრძლივი დროის განმავლობაში, რომელიც მოიცავს და აერთიანებს: პროექტებს, იდეებს, სტიქიურ მოვლენებს, შემთხვევით პროცესებს და ა.შ.

ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც როგორც მოიხმარს მატერიალურ, ფინანსურ, ინტელექტუალურ და სხვა რესურსებს, ასევე „იცოლებს“ მის მიერვე გადამუშავებულ მატერიალურ რესურსებს, გამოყენებულ პროდუქტებს (საწარმოო ნარჩენები, გადამუშავებული წყალი და სხვა).

ქალაქური სისტემის მოდელირებისას, მისი სტრუქტურული და სისტემური ანალიზის დროს, საქმე გვაქვს ერთდროულად მიმდინარე პროცესებთან, როგორც სტოქასტიკურ (ქალაქის შემადგენელი თითოეული ელემენტისათვის დამახასია-

თებელი) ასევე აგრეგირებულ დეტერმინირებულ (რომელიც შედეგია სტოქასტიკური ქმედების ერთობლიობისა) პროცესებთან.

შეიძლება ითქვას, რომ ქალაქი მიეკუთვნება სტოქასტიკურ-დეტერმინირებულ სისტემათა კლასს და აქვთ გამომდინარე მისი შესწავლა აუცილებლად უნდა მოხდეს შესაბამისი მათემატიკური აპარატის გამოყენებით. მდგრადი განვითარების პრინციპი გვავალდებულებს შევქმნათ ისეთი ექსპერტული სისტემები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ ყოველი ჩვენი გადაწყვეტილება, რომელიც უკავშირდება ქალაქის ფუნქციურ-სივრცულ განაშენიანებას.

ქალაქის განვითარების კონცეფცია ცხადია, ერთდროულად უნდა მოიცავდეს როგორც კონსერვაციულ, ასევე ახალ, დინამიკურ ფაქტორებს.

ჩვენ მიერ შექმნილი ქალაქის ფუნქციურ-სივრცული მათემატიკური მოდელი, დინამიკური სისტემის ბაზისი [3] (იხ. ნახ. 1). მასში ასახულია ქალაქში მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სხვა ფაქტორები [1].


ქალაქების ფუნქციურ-სივრცული სტრუქტურის რეალიზაცია მიმდინარებს დროის ორ მასშტაბში – ოპერატიული (მართვა) და სტრატეგიული (რეგულირება).

დინამიკური სისტემური ანალიზის პროცედურის ძირითადი მდგრელებია:

1. ქალაქის ფუნქციურ-სივრცული პროცესების სისტემური მოდელირება – იმიტაციური მოდელის შექმნა.
2. რეალურ საქალაქო სისტემაში მიმდინარე პროცესების კონტროლი და ანალიზი.
3. ქალაქის განვითარების სისტემური პროექტის (გენგეგმის) შემუშავება.
4. კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება გენგეგმის აღსრულებისათვის და აღსრულების გეგმის შემუშავება (რეგულირება, მართვა). რაც გულისხმობს, მმართველი და რეგუ-

ლიორების ზემოქმედებების სინთეზს და ქალაქის იმიტაციური მოდელის საშუალებით მათი გვექმენობის შეფასებას.

ამ პროცედურის სტრუქტურა და ძირითადი ბლოკები ნაჩვენებია სქემაზე (იხ. ნახ. 1).



ნახ. 1

პროცედურა ორდონიანია.

მისი ბირთვია თვითონ ქალაქური სისტემა (I დონე), რომელიც ხასიათდება გარევული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პარამეტრების ჯგუფით. ამ პარამეტრების დროში ცვლილება არის ქალაქის განვითარების პროგრამების რეალიზაციის და რეალურ საქალაქო სისტემაში მოქმედი გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგი, რომელთა დიდი ნაწილის კონტროლირება შეუძლებელია.

ქალაქური სისტემის პარამეტრების მდგომარეობის ანალიზი და ცვლილება ხორციელდება რეალური გვექმენობის შეფასების ბლოკში, სადაც ფორმირდება იმ კრიტერიუმების ერთობლიობა, რომლის ფარგლებში უნდა განხორციელდეს ქალაქის განვითარების პროგრამები.

ქალაქის განვითარების პროგრამები ძირითადად საპროექტო-სამშენებლო მიმართულებებია, რომლებიც რეალიზდება საპროექტო-სამშენებლო კომპლექსების საშუალებით. ეს კომპლექსი ასრულებს შემსრულებელი ორგანოს ფუნქციას, რომელიც პრაქტიკულად ახორციელებს ქალაქის განვითარების პროგრამებს.

დინამიკური სისტემური ანალიზის პროცედურის მეორე დონე - ესაა ქალაქის ფუნქციურ-სივრცელი განვითარების ოპერატორები და სტრატეგიული მართვა. მისი ბირთვია საქალაქო სისტემის ფუნქციურ-სივრცელი მოდელი. ის საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ საქალაქო სისტემის რეაქციის იმიტირება მისი განვითარების შესაძლო პროექტებზე და ვიწინასწარმეტყველოთ ყოველი გადაწყვეტილების შედეგი. ფუნქციურ-სივრცელი მოდელი დინამიკური სისტემური მოდელია იმ გაგებით, რომ მასში გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორები (სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, რესურსებთან დაკავშირებული, დემოგრაფიული და სხვ.), რომელიც გავლენას ახდენს ქალაქის ფუნქციურ-სივრცელი სტრუქტურის განვითარებაზე.

ამ დონეზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია განვითარების პროგრამის ფორმირების და სისტემური რეგულირების ფორმირების ბლოკები. ქალაქის ფუნქციურ-სივრცელი განვითარების პროგრამა – ესაა დაგეგმილი პარამეტრები ნატურალურ გამოსახულებაში და ის ფინანსური რესურსებია, რაც სჭირდება მათ შესრულებას.

განვითარების პროგრამა შედგება მმართველი და რეგულირებადი ნაწილებისაგან. პირველი შეიცავს მმართველ ზემოქმედებას. კერძოდ, იმ მატერიალური და ფინანსური ნაკადების განაწილებას, რომლებიც მიეცემა საპროექტო-სამშენებლო კომპლექსს.

რეგულირება - გულისხმობს, როგორც “თამაშის წესების” შემუშავებას ქალაქის განვითარების პროცესში, ასევე იმ მაკროპარამეტრების დაწესებას, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული ქალაქისათვის და აუცილებელია შესასრულებლად ყველასათვის ვინც ქალაქზე რაიმე “ზემოქმედებას” ახორციელებს.

მეორე ნაწილი მოიცავს მარეგულირებელ ზემოქმედებას, რომელიც არის ქალაქის ფუნქციონირების წესების ერთობლიობა. მათი აგრეგირება შეიძლება, ძირითადად, ხუთ კლასად: ადმინისტრაციულ-ნორმატიული, მიწის (საკადასტრო), საბიუჯეტო-საგადასახადო, ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ხელშეკრულებითი, ისტორიული ფასეულობების, სოციალური სტრუქტურის და სხვათ მიედვით.

მართვა - ესაა რეალური მატერიალური, ფინანსური ნაკადი როგორც ცენტრალური სახელმწიფო ფონდები წყაროებიდან, ასევე კერძო ინვესტორებიდან.

აღნიშნული პროცედურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანებისა ფუნქციურ-სივრცითი მოდელის პარამეტრების დახარისხების, შერჩევის ბლოკი. ფუნქციურ-სივრცითი განვითარების მოდელის პარამეტრების პერიოდული დახარისხება, შერჩევა აუცილებელია იმიტომ, რომ ამა თუ იმ პროგრამის განხორციელების დროს ქალაქის სისტემაში შეიძლება მიიღოს სულ სხვა ისეთი თვისებები, რომლის იმიტორება უკვე შეუძლებელია მოდელის არსებული პარამეტრებით.

ქალაქის სისტემების დაგეგმვარება არის ქალაქის ტერიტორიის გარდაქმნა. ამ გეგმების რეალიზაცია ხორციელდება მმართველთა ზემოქმედებით, რომლებიც ცვლიან ქალაქის ფუნქციურ-სივრცულ პარამეტრებს. ბუნებრივია, გეგმას უნდა

მიეცეს არა მხოლოდ რაოდენობრივი შეფასება, არამედ ხარისხობრივი.

ამასთანავე, ქალაქის სისტემების მდგომარეობა არ უნდა შევაფასოთ მხოლოდ ერთი კრიტერიუმით. რადგანაც, ქალაქის გარემოს გაუმჯობესებას ერთი რომელიდაც კრიტერიუმის მიხედვით, ხშირად მივუვართ მის გაუარესებამდე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია განხოგადებული კრიტერიუმის ფორმირება, რაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქალაქის სისტემების დაგეგმვარების კონკრეტულ ამოცანაზე.

ამ სფეროში წარმოქმნილ ყველა მრავალსახეობის ამოცანები შეიძლება დავყოთ სამ კლასად.


პირველ კლასს განეკუთვნება ე.წ. განაწილების ამოცანები. ეს ამოცანები ყველაზე მეტად გავრცელებულია ქალაქშენებლობის პრაქტიკაში. წვეულებრივ ისინი დაკავშირებულია ქალაქის ტერიტორიაზე რაიმე ობიექტების ოპტიმალურ განაწილებასთან. ასეთი ამოცანების მაგალითები შეიძლება იყოს: მშენებლობის ეტაპები, ადგილმდებარების ამორჩევა, კაპიტალდაბანდების განაწილება და სხვა.

მეორე კლასს განეკუთვნება სატრანსპორტო ქვესისტემების კვლევისას წარმოქმნილი ამოცანები. ისინი დაკავშირებულია სატრანსპორტო მაგისტრალების, საქალაქო ტრანსპორტის მარშრუტების დამუშავებესთან, სატრანსპორტო ნაკადების რეგულირებასთან და სხვა. ფორმალური მოდელების მიხედვით ანალოგური ამოცანები წარმოიქმნება არა მარტო სატრანსპორტო, არამედ სხვა კომუნიკაციებისა და ქსელების შესწავლისას და განხორციელებისას.

ზემოთ აღინიშნა, რომ რადგანაც ქალაქის სისტემების დაგეგმვარების ამოცანები მრავალკრიტერიუმიანია, საკონფლიქტო სიტუაციების კვლევის პირველი ნაბიჯი შეიძლება იყოს სათამაშო-იმიტაციური მოდელების გამოყენება. ქალაქის დაგეგმვარების სათამაშო-იმიტაციური მოდელები სხვადასხვაგვარია და რომელიც ქმნის განსახილვები ამოცანების მესამე კლასს [2].

სოციალური სისტემების სხვადასხვა ნაწილის

ურთიერთქმედებათა კანონების არაწრფივობა თვითორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშველოვანესი პირობაა დროსა და სივრცეში. რაოდენობრივი ცვლილების გადასვლა თვისობრივში და პირიქით ეფუძნება დიალექტიკის კანონს. ცნობილია, რომ თვისობრივი მახასიათებლის ერთი ღონიდან მეორეზე გადასვლა ხდება არაწრფივი კანონის შესაბამისად (ანალოგიური კანონზომიერებაა დროშიც (ნახ. 2)) [4].



ნახ. 2

მოყვანილი კანონზომიერებანი მნიშვნელოვანია ქალაქური, ურბანული სისტემების განვითარების შესწავლისას.

“თვისობრიობის” K_a და “რაოდენობა” (K_0) – დამოკიდებულებას აქვს ლოჯისტიკური ფუნქციის სახე:

$$K_a = \frac{k}{(1+be^{-cK_0})}, \quad (1)$$

სადაც k არის გაჯერების სიდიდე; K_a – საწყისი მნიშვნელობა

$$K_a = \frac{k}{(1+b)},$$

როცა $K_0=0$.

c – კონსტანტა.

“რაოდენობის” (K_0) ცვლილება დროში შეიძლება აღვწეროთ მოდიფიცირებული ექსპონენტით:

$$K_0=R-ae^{nt}, \quad (2)$$

სადაც R არის გაჯერების სიდიდე, რომლის საწყისი მნიშვნელობაა $K_0=R-a$; n – მუდმივი სიდიდე.

(1) და (2) ფორმულების გაერთიანებით მივიღებთ:

$$K_a = \frac{ke^R}{e^{ae^{nt}}(e^{cK_0}+b)}. \quad (3)$$

ეს თანაფარდობა “რაოდენობრიობას” და “თვისობრიობას” შორის საშუალებას გვაძლევს კომპლექსურად და ობიექტურად შევისწავლოთ ქალაქის განვითარების დინამიკა და ობიექტური ინტერპრეტაცია გავუკეთოთ მიღებულ შედეგებს. K_0^1 და K_0^2 რაოდენობრივი ცვლილების დროს, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვან თვისობრივ ცვლილებებს. კერძოდ, შეიძლება ქალაქია “შეიძინოს” ისეთი ფუნქცია, რომელიც ადრე მას არ გააჩნდა.

რეგიონის რეკონსტრუქციის გეგმის განხორციელების სხვადასხვა თანამიმდევრობის დროსაც შესაძლებელია მოხდეს “კატასტროფები” [1]. ასე, მაგალითად, ქალაქებსა და რეგიონებში სხვადასხვა სამრეწველო თუ საყოფაცხოვრებო ობიექტების აშენების დროს იცვლება მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ინტერესების დაქმაყოფილების სფეროები, სიდიდეები, რის გამოც რეგიონში ჩნდება მოსახლეობის მოძრავი ნაკადები. ცხადია, რომ ამ პროცესის დროს შესაძლებელია მოხდეს დემოგრაფიული აფეთქებები. ამიტომ, ცხადია, რეგიონის დაგეგმარების დროს ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად გავითვალისწინოთ ეს ფაქტორიც. ნამრომში [1] განხილულია სწორედ ასეთი მართვის განხორციელების გზები.

ვთქვათ, დროის $(0,T]$ შეალებული რეგიონში, რომელიც შედგება ორი რაიონისაგან ასაშენებელია (ან დასანგრევია) გარკვეული ობიექტები, რომელთა სიმრავლეს აღვნიშნავთ K სიმბოლოთ. ამ სამუშაოს განხორციელების ყოველი გეგმა შეიძლება განვიხილოთ როგორც ასახვა $f: K \rightarrow (0;T] \times \{1;2\}$, სადაც $f(k)=(t_k, i_k)$, რაც აღნიშნავს იმას, რომ გეგმის მიხედვით k ობიექტის აშენება (დანგრევა) იწყება i_k რაიონში დროის t_k მომენტში.

ყოველ f გეგმას შევუსაბამოთ რიცხვთა ისეთი ზრდადი $\theta=(\theta_m)_{0 \leq m \leq n}$ მიმდევრობა, რომ $\theta_0=0$ და $\{\theta_m | 1 \leq m \leq n\}=\{t_k | k \in K\} \cup \{t_k + \tau_k | k \in K\}$, სადაც τ_k არის ის დრო, რომელიც საჭიროა k ობიექტის აშენებისათვის (დანგრევისათვის). სხვანაირად რომ ვთქვათ, θ არის მიმდევრობა დროის იმ მომენ-


ტებისა, როდესაც f -გეგმის მიხედვით უნდა დაიწყოს ან დამთავრდეს რაიმე ობიექტის აშენება, ან დანგრევა (დამატებული კიდევ ნულოვანი მომენტი), დალაგებული ზრდადობის მიხედვით.

ცხადია, რომ რაიონებში ახალი ობიექტების აშენებით ან დანგრევით იცვლება პირველი და მეორე რაიონის მიერ მოსახლეობის ინტერესების დაკმაყოფილების λ_1 და λ_2 პარამეტრები, რომლებსაც განვსაზღვრავთ შემდეგნაირად: ვთქვათ J არის იმ ინტერესების სიმრავლე, რომლებიც შეიძლება პქნდეს მოსახლეობას. ყოველი $j \in J$ ინტერესისათვის და i -ური რაიონისათვის $\xi(i,j)$ და $\eta(j)$ სიმბოლოებით აღნიშნოთ შესაბამისად i -ურ რაიონში j ინტერესის დაკმაყოფილების პარამეტრი და მოსახლეობისათვის j ინტერესის დაკმაყოფილების აუცილებლობის წონა $(\sum_{j \in J} \eta(j)) = 1$. მაშინ λ_1 და λ_2 რიცხვებს განვსაზღვრავთ შემდეგნაირად:

$$\lambda_i = \sum_{j \in J} \xi(i,j) \eta(j), \quad i=1,2.$$

$\eta(j)$ წონები მუდმივია $(0;T]$ დროის შეაღედში, ხოლო $\xi(i,j)$ და მაშასადამე λ_i პარამეტრებზე გაფლენის ახდენს მხოლოდ f გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები. (იმის თაობაზე თუ როგორ შეიძლება განვსაზღვროთ $\xi(i,j)$ პარამეტრები იხ. [1]). ამიტომ, ცხადია, λ_1 და λ_2 პარამეტრები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ დროის $(0;T]$ შეაღედში θ_m ($1 \leq m \leq n$) მომენტებში. ამრიგად, ყოველ f გეგმას შეესაბამება $(\lambda_1; \lambda_2)$ სიბრტყის წერტილების გარკვეული მიმდევრობა L_0, L_1, \dots, L_n (იხ. ნახ. 3). L_i წერტილებისაგან შედგენილი Λ წირი აღვნიშნოთ. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ მოსახლეობის დონამიკის თვისობრივ მხარეს და კერძოდ, ვეპასუხოთ კითხვას იმის შესახებ, რომ f გეგმის განხორციელების დროს უნდა ველოდეთ თუ არა რეგიონში კატასტროფებს [1]. სანამ Λ წირის წერტილი მოთავსებულია რაიმე არის შიგნით,

არაფითარ კატასტროფას არა აქვს ადგილი. კატასტროფა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საზღვრების, მდგრად არეებს (B,C,D..) შორის გავლებული L_i^j საზღვრების გადაკვეთის დროს [3].



ნახ. 3

ექსპერტული სისტემა, რომელიც აიგება ჩვენ მიერ შემოთავაზებული მათემატიკური მოდელის საფუძველზე საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ სისტემური კატასტროფები ქალაქის ფუნქციურ-სივრცეული დაგეგმარებისა და აღმშენებლობის დროს.

3. დასკვნა

ჩვენ მიერ შექმნილი ქალაქის (ურბანული სისტემის) ფუნქციურ-სივრცეული განვითარების იმიტაციური მოდელი საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ექსპერტული სისტემა ქალაქის განაშენიანების გეგმის ექსპერტიზისათვის. ნაშრომში წარმოდგენილია ექსპერტული სისტემის აგების პრინციპები და მეთოდოლოგია.

ლიტერატურა

1. ახობაძე, მაკროსისტემების მათემატიკური მოდელირებისა და მართვის საკითხები. მონოგრაფია. ტექნიკური უნივერსიტეტი, 2006. - 180გვ.
2. Ресин В. И. Системное регулирование функционально-пространственного развития города. М., 2005.
3. Постон Т., Стюарт И. Теория катастроф и ее применение. М., 1970.
4. Арнольд К. Теория катастроф. М., 1990.

UDC 62-5

IMITATIVE MODELING AND MANAGEMENT OF THE CITY FUNCTIONAL - SPATIAL DEVELOPMENT**M. Akhobadze, E. Kurtskhalia, T. Bakhtadze, N. Vardziashvili**

Department of interdisciplinary informatics, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is considered imitative model of the city functional - spatial development on the basis of macrosystem modeling principles. This imitative model enables creation of expert system for the evaluation of city development plan.

Key words: mathematical modelling; management; city; expert system.

УДК 62-5

ИМИТАЦИОННОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ И УПРАВЛЕНИЕ ФУНКЦИОНАЛЬНО-ПРОСТРАНСТВЕННЫМ РАЗВИТИЕМ ГОРОДА**Ахобадзе М.Н., Курцхалия Е.Ж., Бахтадзе Т.Д., Вардзиашвили Н.Н.**

Департамент интердисциплинарной информатики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77

Резюме: Для оценки функционально-пространственного развития города на основе имитационной модели реальной городской системы показан принцип построения экспертной системы.

Ключевые слова: математическое моделирование; управление; город; экспертная система.

მიღებულია დახაბეჭდიად 29.09.14

შავ 681.3

0603200700 პროცესების მოდელების ეპოლუცია**ზ. გასიგაშვილი^{1*}, ს. ხუციშვილი^{2**}, ჯ. გაგლოშვილი^{***}**

¹კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,
0175, თბილისი, გ. კოსტავას 77

²მართვის სისტემების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,
თბილისი, გ. კოსტავას 77

E-mail: zur_gas@gtu.ge, sulkh-5@mail.ru, j.gagloshvili@gmail.com

რეზიუმე: სტატიაში განხილულია თანამედროვე თანამედროვე
საწარმოებში გვაქმნებული ინოვაციური პროცესების მომსახურები. განმარტებულია ინო-
ვაცია, ინოვაციური პროცესი, მისი არსი და ფორ-

დელების ევოლუციის პერიოდები, კერძოდ წარმოდგენილია მოდელების ხეთი “თაობა”, მარტივი ხაზოვანი მოდელებიდან, როდე არახაზოვან ქსელურ და ინტერაქტიულ მოდელებამდე. გაანალიზებულია ასეთი მოდელების ძირითადი მახასიათებლები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მოცემულია არახაზოვანი მოდელების ძირითადი თავისებურებები და განვითარების მთავარი მიმართულებები.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია; ინოვაციური პროცესი; ინოვაციური პროცესის მოდელი; ევოლუცია; ხაზოვანი და არახაზოვანი ინოვაციური მოდელი.

1. შესავალი

დღევანდელი ყოფა ხასიათდება ადამიანის არსებობის, მოღვაწეობისა და საქმიანობის ყველა სფეროში ახალი ტექნოლოგიების სწრაფი შეღწევით, რაც კარდინალურად ცვლის ჩვენი ცხოვრების წესსა თუ სტილს და რაც მთავარია, ქმნის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ახალ შესაძლებლობებს.

მეცნიერების წარმოებასთან კონსოლიდაციის პროცესმა, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო, წარმოებაში „მეცნიერებატევადი“ და „მაღალტექნოლოგიური“ ინოვაციური პროცესების ინტეგრაციის სახელი დაიმკიდრა. ამან შეცვალა მთავარი პრინციპი, ის რომ დღეს წარმოების კონკურენტუნარიანობის და საბაზრო დირექტულების მრავალჯერადი გაზრდის განმსაზღვრელი ფაქტორი არის ცოდნა, სამეცნიერო კვლევები, ნაშრომები და არა წარმოების სიმბლავრე. ამ პროცესების შედეგად დღეს ცოდნა ბიზნესის შემადგენლი ნაწილი გახდა, იგი წარმოებაში ფუნქციონირებადი ინტელექტუალური რესურსია, წარმოების პრიორიტეტული ფაქტორია,

არამატერიალურ აქტივებში აღირიცხება და მოგების სოლიდური ნაწილი მოაქვს. ვინაიდან, თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის გამოყენება წარმოებაში ხშირად ინოვაციის ცნებით გამოიხატება, მეცნიერების დარგს, რომელიც სწავლობს ინოვაციას, ინოვაციური პროცესების ძირითად კანონზომიერებებს, მის მოდელებს, მახასიათებლებს და მათი გამოყენებით მართვის ეფექტურ საშუალებებს ინოვატიკა ეწოდება.

2. ძირითადი ნაწილი


ინოვაცია, მარტივად რომ ვთქვათ, არის ახალი, უფასობიანი პროდუქტის ან მომსახურების შექმნა და რეალიზაცია. ინოვაცია ასევე არის უკვე არსებული პროდუქტის ან მომსახურების წარმოების წესის შეცვლა. ინოვაციის შინაარსში არსებითია შექმნილი სიახლის პრაქტიკაში რეალიზაცია.

ინოვაციური პროცესი. ინოვაციური პროცესი არის სიახლის შექმნის, დამუშავების, გავრცელებისა და გამოყენების პროცესი ან სხვანაირად პროცესი, რომელიც ხოვაციას (სიახლეს, გამოგონებას) ინოვაციამდე მიიყვანს. ინოვაცია შესაძლებელია ხორციელდებოდეს მრავალი მიმართულებით, მაგალითად:

- პროდუქტიული ინოვაცია (ახალი პროდუქტი ან მომსახურება);
- ტექნოლოგიური ინოვაცია (ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია);
- მმართველობითი ინოვაცია (მართვის ახალი მეთოდები, მართვის აპარატის მიერ ახალი ფორმების გამოყენება) და სხვა.

ინოვაციური პროცესების მოდელების გვოლუციური ანალიზი.


ინოვაციური თეორიის განვითარებასთან ერთად გვოლუცია განიცადა ინოვაციური პროცესების მოდელებისა და ისინი მარტივი ხაზოვანი მოდელებიდან როდე, კომპლექსურ, ქსელურ მოდელებამდე მივიღნენ (იხ. ნახ. 1).



ნახ. 1. ინოვაციური პროცესების მოდელების ეფორული

ინოვაციურ პროცესებთან დაკავშირებით პირველადი კვლევები და პროცესის სტადიები 1950–1960 წლებს მოიცავს. ამ პერიოდში გავრცელდა მარტივი ხაზოვანი მოდელი, რომელშიც ძირითადი, განმსაზღვრელი იყო სამეცნიერო კვლევები. ამის შედეგად მან მიიღო სახელმწიფო „ტექნოლოგიური ბიმბის“ მოდელი (იხ. ნახ. 2).

ამ პერიოდის წამყვანი ეკონომისტები თვლიდნენ, რომ ინოვაციურ პროცესს აქვს ხაზოვანი, თანამიმდევრული ხასიათი და აერთიანებს სამეცნიერო კვლევებს და გამოგონებებს, საწამოო კვლევებს, დამუშავებას, მარკეტინგს და ბაზარზე ახალი პროდუქტის ან პროცესის გამოჩენის ეტაპებს (ნახაზი 2).



ნახ. 2. ინოვაციური პროცესის პირველი თაობის მოდელი

მოცემულ შემთხვევაში ახალი პროდუქტის შექმნის იდეა მოდის სეს (სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები) და სსს (საცდელი საკონსტრუქტორო სამუშაოები) რგოლის შიგნიდან, ხოლო ბაზარი თამაშობს პასიურ როლს, რომელიც მხოლოდ დებულობს სამეცნიერო კვლევების შედეგებს.

„ტექნოლოგიური ბიმბის“ მოდელის ნაკლოვანებად ითვლებოდა იმის დაშვება, რომ თითქოს ყოველი ახალი იდეა მიმზიდველია მომხმარებლისთვის და ახალი ცოდნა ყოველთვის გარდაიქმნება ინოვაციურად, გამოცდილებამ კი სულ სხვა აჩვენა, რეალულად ფუნდამენტური კვლევების შედეგების მხოლოდ 5%-ის დანერგვა ხდება პრაქტიკაში.

ინოვაციური პროცესების მეორე თაობა (1960 წლის მეორე ნახევარი – 1970 წლის დასაწყისი) ასევე არის ეტაპების ხაზოვანი მიმდევრობა, თუმცა აქცენტი კეთდება მომხმარებელზე (იხ. ნახ. 3). მოდელი გულისხმობს, რომ ინოვაციები წარმოიქმნება მომხმარებლის მოთხოვნების გამოვლენის შედეგად, ეს ფორმულდება სამეცნიერო კვლევებზე და დამუშავებაზე, ამას კი შედეგად ბაზარზე ახალი პროდუქტის გამოჩენა მოსდევს. ამ დროს სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები წარმოადგენს რეაქციას ბაზრის მოთხოვნებზე.


აღნიშნულ მოდელს უწოდებდნენ „საბაზრო მოთხოვნის“ მოდელს.



ნახ. 3. მეორე თაობის ინოვაციური

პროცესის ხაზოვანი მოდელი

ამ მოდელსაც გააჩნია ნაკლოვანება, რომელიც დაკავშირებულია იმ დაშვებასთან, რომ ინოვაციის საწყისი არის მხოლოდ მომსმარებლის მოთხოვნა.



ნახ. 4. ინოვაციური პროცესის მეორე თაობის

დეტალიზებული მოდელი

სადაც მარკეტინგული კვლევების (მკ) ეტაპზე მიმდინარეობს იდეის შესაბამისი დარგის ანალიზი და რეალიზაციის ბაზრის სრულყოფილი მარკეტინგული გამოკვლევა მომავალი სიახლის რეალიზაციის შესაძლებლობის და მისი შემდგომი გავრცელების პირობების დადგენის მიზნით.

სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების (სქს) სტადიაზე ხდება ახალი პროდუქტის, ტექნოლოგიის შექმნის და შეფასებების მეთოდიკური მიღებომების დამუშევება.

თუ მიღებული შედეგები იქნება დადებითი, მაშინ მის საცუდელზე იწყება საცდელი საკონსტრუქტორო სამუშაოები (სსს) და იქმნება საცდელი ნიმუშები, რომელიც გადის საცდელ გამოცდა - შემოწმებას.

თუ გამოცდის შედეგები იქნება დადებითი, იწყება ახალი პროდუქციის მასიური წარმოება (მწ), ამ დროს ხდება ათვისების ეტაპი, როცა აუცილებელია საწარმოო პროცესის ადაბტაცია ახალ მოთხოვნებთან (ახალი მოწყობილობების ათვისება, ახალი ტექნოლოგიების დაუფლება და ა.შ.). ათვისების პროცესის ეფექტურობა დიდ წილად განაპირობებს ახალი პროდუქციის წარმოების ეფექტინობას.


მეორე თაობის მოდელის შედარებით დეტალიზებული გარიანტი შემოთავაზებულია აგზორების მიერ მე-4 ნახაზზე.

ექსპლუატაციის (ე) სტადია მოიცავს ახალი პროდუქციით ბაზარზე გასვლასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტას და შესაბამისი სამუშაოების ჩატარებას, რეალიზაციის შემდგომი მომსახურების უზრუნველყოფას.

უტილიზაციის (უ) სტადია ინოვაციური პროცესის დამამთავრებელი ეტაპია, ამ დროს ხდება პროდუქციის მეორადი გადამუშავება, ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება “გარემოსთან” და ა.შ.

XX საუკუნის 70-იან წლებიდან ორივე თაობის ხაზოვან მოდელებს განიხილავდნენ როგორც უფრო ზოგადი პროცესების (მეცნიერება, ტექნოლოგია, ბაზარი) კერძო შემთხვევებს. რ. როსველი, კ. ფირმანის, ნ. როზნბერგის და სხვა მეცნიერთა კლევებმა დაადასტურა მარკეტინგული, საბაზრო და ტექნიკური ფაქტორების მნიშვნელობა წარმატებულ ინოვაციების ფორმირებისთვის. ამან განაპირობა 1970–1980-იან წლებში ინოვაციური პროცესებების მესამე თაობის არახაზოვანი მოდელის შექმნა, მაგალითად, გაერთიანებული და ჯაჭვური მოდელები (ნახაზები 5, 6).

მესამე თაობის ინოვაციური პროცესი ისევ თანამიმდევრულია, თუმცა აშკარად არის გამოკვეთილი უძუავშირების სისტემა (იხ. ნახ. 5).




ნახ. 5. ინოვაციური პროცესის მესამე თაობის
მოდელი უკუაგშირებით

როგორც ჩანს სკს და სსს სფერო ახალ მოთხოვნებთან ერთად არის ინოვაციური იდეების მთავარი წყარო.

კიდევ ერთი, მესამე თაობის საქმაოდ ცნობილი მოდელია ე.წ. კლაინ-როზების ჯაჭვური მოდელი. ამ მოდელს მოიხსენიებენ სხვადასხვა სახელით: “ჯაჭვური მოდელი”, “ინტერაქტიული მოდელი” და ა.შ. აღნიშნული მოდელი ახდენს

მარკეტინგული და გამანაწილებული საქმიანობის ინიცირებას და მისი მნიშვნელოვანი თავისებურებაა, ინოვაციური პროცესის ხუთი ურთიერთდაკავშირებული ჯაჭვის არსებობა. ისინი აღწერენ ინოვაციების განსხვავებულ წყაროებს, ასევე მათთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ცოდნას მოელი პროცესის განმავლობაში (ნახაზი 6).



ნახ. 6. ინოვაციური პროცესის ჯაჭვური
მოდელი (მესამე თაობა)

სადაც C არის ინოვაციური პროცესის ცენტრალური ჯაჭვი (*Central chain*);

F – ინტერაქტიული უპექავშირი კომანის შეგნივით (Feedback);

F – ბაზრის უპექავშირი;

D – სამეცნიერო აღმოჩენა, რომელსაც მივყაროთ რადიკალური ინოვაციასთან (*Discoveries*);

K – ინოვაციურ პროცესში არსებული ცოდნის ან ახალი ცოდნის ჩადება (*Knowledge*);

R – კვლევები ახალი ცოდნის შესაქმნელად (*Research*);

I – ინოვაცია, რომელსაც უმაღლე შეაქვს წვლილი სამეცნიერო კვლევაში (*Innovations*).

ჯაჭვური მოდელის უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს პირველი და მეორე თაობის ხაზოვანი მოდელებისაგან განსხვავებული ინოვაციის წყაროები. კერძოდ ინოვაციის ყოველი ჯაჭვი აღწერს ინოვაციის განსხვავებულ წყაროს, მაგალითად:

1. სამეცნიერო კვლევები (წარმოქმნის ახალ ცოდნას);
2. ბაზრის მოთხოვნები;


3. არსებული ცოდნა (ფირმის გარეთ არსებული);

4. ცოდნა, რომელიც მიიღება საუთარი გარცვდილების გამოყენების პროცესში.

ჯაჭვურ მოდელს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ იგი მომდინარეობულია ინსტიტუციური გარემო, სადაც რეალურად მიმდინარეობს სიახლის შემოტანის პროცესი.

უფრო და უფრო ხშირად განიხილავენ ინოვაციური პროცესების სხვადასხვა თაობის მოდელებს, სადაც ინოვაციური პროცესის ეტაპები განიხილება შედარებით დეტალურად, ხდება სუბიექტებს შორის ახალი ტიპის კაგშირების და ურთიერთკავშირების დანერგვა (ნახატები 7 და 8).

ინოვაციური პროცესის ინტეგრირებული მოდელი კომპანიების პრაქტიკაში გამოწნდა 80-იან წლების ბოლოს. ასეთ მოდელებში ინოვაციები წარმოდგენილია არა როგორც თანამიმდევრული ეტაპები, არამედ როგორც პარალელური პროცესი, რომელიც ერთდროულად შეიცავს კვლევების და დამუშავებების, პროტოტიპების შემუშავების, წარმოების და ა.შ. ელემენტებს (იხ. ნახ. 7).



ნახ. 7. ინოვაციური პროცესების მოდელების
შემთხვევა თაობა


რ. როსგელის აზრით მეოთხე თაობის მოდელები შეესაბამება საუკეთესო მოდელებს თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში. მეოთხე თაობის მოდელების მნიშვნელოვანი თავისებურებაა სკს და წამოების ინტეგრაცია, უფრო მჭიდრო თანამშრომლობა მწარმოებელს და ძირითად მყიდვების შორის, პორიზონტალური თანამშრომლობა (ერთობლივი საწარმოების შექმნა, სტრატეგიული ალიანსები). ასევე მნიშვნელოვანია ერთიანი ფუნქციური სამუშაო ჯგუფების შექმნა, რომლებიც აერთიანებენ ტექნოლოგებს, კონსტრუქტორებს, მარკეტოლოგებს, ეკონომისტებს და ა.შ.

ასეთი მიღგომა გულისხმობს, რომ ახალი იდეა უნდა გაანალიზდეს მარკეტინგული კუთხით, ხოლო დამუშავების ყველა ეტაპის კოორდინაცია

უნდა მოხდეს სპეციალური ფუნქციური ჯგუფების მიერ.

ინოვაციური პროცესის მეხუთე თაობის მოდელი არა მხოლოდ ფუნქციურ ჯგუფებს შორის ურთიერთობის შედეგია, არამედ აქვს მულტი ინსტრუმენტები, ქსელური ხასიათი. ასეთი არახაზოვანი მოდელი წამოდგენილია მე-8 ნახ.-ზე.

ის ასახავს ძირითადი ინსტრუმენტების (თვითონ კომანია, მისი მომწოდებლები, კონკურენტები, მომხმარებლებლები) ურთიერთქმედებას, რომლის შედეგიც არის ინოვაცია. როგორც კ. ოპელენდერი აღნიშნავს, თანამედროვე ინოვაციური პროცესი ეს არის პროცესი, რომელიც ფორმირდება სამი სისტემის (ნოვატორი, ორგანიზაცია და გარემო) ურთიერთქმედების შედეგად (ნახ. 8).



ნახ. 8. ინოვაციური პროცესი როგორც ურთიერთზემოქმედების პროცესი (მეხუთე თაობის მოდელი)

სისტემა „ნოვატორი“ მოიცავს მთლიან პერსონალს და წარმოების ფაქტორებს, რომლებიც უშუალოდ დებულობენ მონაწილეობას ახალი ტექნოლოგიების კვლევებში, შემუშვებასა და ათვისებაში. მეორე მხრივ ეს სისტემა ნაწილია შედარებით დიდი სისტემის – ორგანიზაციის ანუ კონკრეტული ფირმის, სადაც მიმდინარეობს სიახლის დამუშვება, ხოლო ორგანიზაცია ნაწილია უფრო ფართო სისტემის –გარემოსი (პოლიტიკური, ბუნებრივი, სოციალური, ეკონომიკური და ა.შ. ფაქტორების ერთობლიობა).

ინოვაციური პროცესი ძალიან როგორც პროცესია, პირველ რიგში იმიტომ, რომ წარმატებული

იდეები უნდა მოიძებნოს პროცესის ადრეულ სტადიაზე. ამასთან ერთად, სიახლის დამუშვების პროცესი მოითხოვს ძალიან დიდ ხარჯებს, ამიტომ წარმატებისთვის აუცილებელია დამუშვების ეტაპამდე მივიყვანოთ პირველ რიგში უფრო პერსპექტიული იდეები. ასეთი მიღგომა კი საჭიროებს ინოვაციური პროცესის მოდელში იდეების გადარჩევის და რეალურ პროდუქტად (ინოვაციურ პროცესად) გარდაქმნის ეტაპების გათვალისწინებას. მეხუთე თაობის მსგავსი მოდელების ნაირსახეობები დამუშავებულია და კვლევები დღესაც გრძელდება.

III, IV და V თაობის მოდელებს არახაზოვან მოდელებს უწოდებენ. არახაზოვანი ინოვაციური პროცესების მოდელები არის პირველი და მეორე თაობის მოდელების გარკვეული კომბინიცია, სადაც აქცენტი კეთდება ტექნოლოგიურ შესაძლებლობებსა და ბაზრის მოთხოვნებზე. არახაზოვანი მოდელები განსხვავდება ტრადიციულისაგან შემდეგი თვისებებით:

–პირველ რიგში, არახაზოვანი ინოვაციური პროცესების შესაბამისად ინოვაციური იდეა შეიძლება დაებადოს, ინოვაციური საქმიანობის ნებისმიერ სუბიექტს, ინოვაციური ციკლის ნებისმიერ ეტაპზე;

–მეორე რიგში, არახაზოვანი მოდელი ითვალისწინებს იმას, რომ ახალი ცოდნის შექმნა და ტრანსფორმაცია უნდა განხორციელდეს არა აბსტრაქტულ „ტექნოლოგიურ სიბრტყეში“, არა მედ კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტების მიერ, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი ფასეულობები და ინტერესები;

–მესამე რიგში, არახაზოვანი მიდგომის შესაბამისად ინოვაციურ პროცესებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა იმდენად თვითონ სუბიექტები, არამედ მათ შორის ურთიერთობები;

–მეოთხე რიგში, არსებითი ხედია ინოვაციური პროცესების რეგულირება, რამდენადაც მათი ეფექტურობა უფრო და უფრო მეტად დამოკიდებულია ინოვაციურ პროცესებში ჩართულ სუბიექტებს შორის ურთიერთგავშირებზე, ასევე ინსტიტუციურ პირობებზე, სადაც მიმდინარეობს სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობა.

ამიტომ, თუ ხაზოვანი ინოვაციური პროცესების რეგულირება მოითხოვდა პირველ რიგში ცალკეული სუბიექტების მხარდაჭერას, არახაზოვანი ინოვაციური პროცესების რეგულირება დაფუძნებული უნდა იყოს სუბიექტებს შორის წარმოქმნელი ურთიერთგავშირების გაღრმავებაზე.

ინოვაციური პროცესის მოდელების ანალიზი

მიუხედავად დიდი რაოდენობით დამუშვებული მოდელებისა, დღემდე დგას საკითხი იმის შე-

სახებ, რამდენად ეფექტურია ესა თუ ის მოდელი. ეს სიტუაცია გამოიწვია თითოეული მოდელის გამოყენებაზე ემპირიული მონაცემების და თეორიული კვლევების მწირმა რაოდენობამ, ინოვაციური პროცესების არაპროგნოზირებადმა ხასიათმა და დიდმა ნაირსახეობამ. მაგალითად, ბოლოდროინდელ კვლევებში ნაჩვენებია, რომ ინოვაციური პროცესების მოდელების აღნიშნულ ხეთ თაობაში უმეტესობა არის დეტერმინირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ უმეტესობა კომპანიებისა იყენებს მოდელების გამარტივებულ ვარიანტებს ან ქმნის საკუთარს, თავისი მიზნებიდან და არსებული რესურსებიდან გამომდინარე. განსაკუთრებით სარისკოა მოდელის თანამიმდევრული ეტაპების გამოყენება ისეთი ინოვაციებისთვის, რომლებიც ხასიათდება მომეტებული განუსაზღვრელობებით.

მთლიანობაში პრაქტიკა გაიზენებს, რომ შეუძლებელია ერთი მოდელის შექმნა, რომელიც გამოსაყენებლად უნივერსალური იქნებოდა ყველა კომპანიისთვის. საეციალისტები მივიღნენ დასკვნამდე, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ინოვაციურ სტრატეგიებში ფინანსური, პროგრამული უზრუნველყოფის, მეტალის დამუშავების, ქაღალდის დამუშავების, მრეწველობის, ტანსაცმლის წარმოების დარგების კომპანიებს შორის. მაგალითად, კუპერი განსაზღვრავს ინოვაციების დამხმარე პროცედურების შვიდ განსხვავებულ სამრეწველო ნიმუშებს და ა.შ.

მნიშვნელოვანია ინოვაციების დანერგვა ორგანიზაციის ბიზნეს-პროცესებში, მათი განვითარების სტრატეგიის და კორპორაციული კულტურის შესაბამისად. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაციური პროცესი არის მეგა პროცესი, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს კომპანიის ყველა ბიზნესპროცესს, რადგანაც ცოდნის მატარებელი და შემქმნელი არის ადამიანი, ამიტომ, მნიშვნელოვნად იზრდება ადამიანური პოტენციალის მნიშვნელობა, უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა ცოდნა, კულტურა, ქსელური კავშირები.

3. დასკვნა

ბევრ ორგანიზაციას არ შეუძლია დანერგოს ინოვაციური პროცესები. ინოვაციური პროცესი მიაჩნიათ, რომ რთული და უმართავია, ამიტომ ბევრი ორგანიზაცია დღესაც აგრძელებს „შავი ყუთის“ მაგგარი მიდგომის გამოყენებას, ინოვაციის შექმნის ეტაპების გაცნობიერების გვერდის ავლით. ამასთან ვაანალიზებთ რა ინოვაციური პროცესების მოდელების ეფოლუციას, შეიძლება დავასკვნათ, რომ სპეციალისტების დიდი ნაწილი ეთანხმება მოსაზრებას, რომ რეალური ინოვაციური პროცესების რეალიზება არ მიმდინარეობს ისე, როგორც ეს შემოთავაზებულია მოდელებში.

რეალურად მოდელები გეიზენებს ინოვაციური პროცესების ეფოლუციურ აღქმას და არა ემპორიულად დასაკირვებულ პროცესს. ამასთან ინოვაციები ხშირად განიხილება, როგორც იზოლირებული პროცესი და არა როგორც სტრატეგიული მართვის და სხვა ბიზნესპროცესების შემადგენელი ნაწილი.

ისევე როგორც ნებისმიერი პროცესი, ინოვაციური პროცესებიც მიმდინარეობს ბევრი ფაქტორის ზემოქმედების პირობებში და ეს ზემოქმედება განსხვავებულია საქმიანობის სხვადასხვა დარგში. თუმცა ყოველი თაობის ინოვაციური მოდელი გარკვეულიად პასუხია ეკონომიკაში მიმდინარე

ცვლილებებსა და ტენდენციებზე ანუ ეკონომიკაში მიდგომების ცვლილება ავტომატურად ცვლის ინოვაციური პროცესის განსაზღვრაში მიდგომებს. ამიტომ, აღწერილი მოდელები შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც შაბლონი, რომელთა რეალიზაციაც თავისებურია ყოველი დარგის ორგანიზაციებში, კულტურათან და რესურსებთან უწყვეტი დამოკიდებულებით.

ასე, რომ ძალზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ინოვაციური პროცესების მოდელების დამუშავება, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტული ორგანიზაციის მიზნებზე და შესაბამისობაში მოვა შეგა და გარე გარემოსთან.

ლიტერატურა

1. Ткачева С.В., Науменко Е.О. Модели управления инновационным процессом: эволюционный подход // Новая экономика и российские реалии. Межвуз. сб. науч. тр. / Под общ. ред. проф. Ю.К. Перского. Пермь, 2005, с.106-115.
2. Оппенлендер К. Технический прогресс. – М.: Прогресс, 1981.
3. Kline S.J., Rosenberg N. An overview of innovation // The positive sum strategy: Harnessing technology for economic growth / edited by R.Landau and N. Rosenberg. – Washington: National Academy Press, 1986.

UDC 681.3

EVOLUTION OF MODELLING OF INNOVATION PROCESSES

Z. Gasitashvili¹, S. Khutishvili², J. Gagloshvili

¹Computer engineering department, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

²Department of management systems, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There are considered effective innovation process organization problems in modern enterprises. There are given the definitions of Innovation and Innovation Process, along with its meaning and forms. Innovation process modelling evolution periods are described, particularly five models are presented: starting from easy "linear" models till complicated nonlinear net and interactive models. The main features of such models, their pros and cons are being analyzed, also the general peculiarities and development directions for non-linear models are presented.

Key words: innovation; innovation process; modelling of innovation process; evolution; linear and nonlinear innovation model.

УДК 681.3

ЭВОЛЮЦИЯ ИННОВАЦИОННЫХ ПРОЦЕССОВ МОДЕЛИ

Гаситашвили З.А.¹, Хуцишвили Ш.А.², Гаглошвили Дж.И.

¹Департамент компьютерной инженерии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77

²Департамент систем управления, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77

Резюме: Рассмотрены вопросы организации эффективного инновационного процесса на предприятии. Определены: категория «инновация», сущность и формы инновационного процесса. Рассмотрены основные эволюционные инновационные модели (пять этапов развития), от простых линейных к более сложным нелинейным моделям. Анализируются особенности таких моделей, их преимущества и недостатки, главные направления их развития.

Ключевые слова: инновационный процесс; инновация; эволюция; линейная и нелинейная инновационные модели.

მიღებულია დასაბუჭიდავ 16.09.14

შაპ 004.5

ზოგიერთი მოსაზრება სახელმწიფოს მართვის სრულყოფის მიმართებით

გ. ლვინეგაძე*, თ. ლვინეგაძე

მართვის ავტომატიზებული სისტემების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, 0175, თბილისი, გ. კოსტავას 77

E-mail: gvinepadzegela@gmail.com

1. შესავალი

რეზიუმე: სტატიაში მოცემულია რეკომენდაციები სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრაზე მომუშავე უშუალო შემსრულებლებთან ურთიერთკავშირების სრულყოფისა და მათი მართვის მექანიზმების დახვეწის მიმართებით.

საკანცო სიტყვები: სახელმწიფო მართვა; ექსპერტული სისტემები; კომპიუტერული სისტემები.

ბებში ხდება, უნდა შეიქმნეს შესაბამისი გარე-
მო-პირობები, დასასრულ, დაისახოს გზები გა-
დაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებისას მო-
ნიტორინგის განხორციელებისა და საჭირო
კორექტივების შეტანისათვის.

გავრცელებული პრაქტიკაა, რომ ზემოთ აღნიშ-
ნული პრობლემების გადაჭრას ახორციელებენ
სახელმწიფოს მართვის ორგანოების სხვადასხვა
დონეზე არსებული (და/ან დინამიკურად ორგანი-
ზებული) სტრუქტურული ერთეულები, კომისიები,
ექსპერტთა სპეციალიზებული ჯგუფები, თუ
ქვეჯუფები და საკითხები მეტნაკლები ეფექტია-
ნობით გავრდება. მაგრამ, ორგანიზაციული მართ-
ვის სფეროს პრობლემებზე მომუშავე სპეციალის-
ტების დაკვირვებით, ასეთი სტრუქტურების მუ-
შაობა გაცილებით ნაკლები ეფექტურობით ხა-
სიათვება, ვიდრე ეს მოხდებოდა ამ საქმიანობის
სხვაგარად წარმართვისას, ამ სპეციალისტების
მიერ შემოთავაზებული მიდგომებით.

სტატიაში განიხილება აღნიშნული მეთოდები,
შემოთავაზებულია ერთ სისტემაში მათი მოქ-
ცევისა და პრობლემების გადაწყვეტაზე მომუშავე
სპეციალისტთა ჯგუფების ორგანიზებისადმი
ზოგი ახლებული მიდგომა.

2. ძირითადი ნაწილი

როდესაც დგება ამა თუ იმ პრობლემის დას-
მა-გადაწყვეტის საკითხი, ხელისუფალთა (ანუ
გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელ პირთა) მიერ
პრაქტიკაში უმეტეს წილად გამოიყენება ექს-
პერტთა ჯგუფის ორგანიზების – ე.წ. კომისიე-
ბის მეთოდი. ამ ტრადიციულ მიდგომას გააჩნია
შემდეგი ღირსებები:

- პრობლემის შესახებ ცალკეულ ექსპერტთა
მიერ მოწოდებული ინფორმაციები მექანი-
კურად კი არ ჯამდება, არამედ მათ ბაზა-
ზე ხშირად თვისებრივად ახალი ცოდნაც
მიიღება.
- ჯგუფის მიერ, როგორც წესი, სრულდება
გაცილებით მეტი სამუშაო, განიხილება
მეტი ფაქტორები, ვიდრე ჯამურად ცალ-
კეული სპეციალისტების მიერ.

- ჯგუფს უფრო უადვილდება კოლექტიური
პასუხისმგებლობის აღება პერსპექტიულ,
მაგრამ მაინც სათუო გადაწყვეტილებაზე,
ვიდრე ცალკეულ სპეციალისტებს.

მაგრამ კომისიების მეთოდი ხასიათდება რი-
გი ნაკლოვანებებით:

- არცოუ იშვიათად ჯგუფის ერთი ან რამ-
დენიმე წევრის მიერ ხდება დანარჩენი
სპეციალისტების დეზინფორმირება, განსა-
კუთრებით მაშინ, როდესაც უკანასკნელი
არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას არა-
სწორი მოსაზრებების უკუსაგდებად.
- ჯგუფს შეუძლია დათრგუნოს სადი აზრი,
ზეწოლა მოახდინოს მის გამომოქმედ
პირზე.
- გამორიცხული არ არის, “არწყენინების პო-
ლიტიკიდან” გამომდინარე, ჯგუფმა მიიღოს
ნებისმიერ სხვა წინადაღებაზე უარესიც კი
კომპრომისული გადაწყვეტილება.

სწორედ ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად
ამერიკელმა სპეციალისტებმა გასული საუკუნის
50-იანი წლების დასაწყისში შემუშავეს დელფო-
ნის მეთოდი. ექსპერტული შეფასების ამ მეთოდში
შემოტანილია სამი მნიშვნელოვანი სიახლე:

- ექსპერტთა ანონიმურობა. ჯგუფის წევრე-
ბი ერთმანეთისათვის ანონიმებად რჩებიან
გადაწყვეტილების შემუშავების პროცესის
განმავლობაში, რითაც ექსპერტს უადვილ-
დება საკუთარ შეხედულებებზე უარის თქმა
კოლეგების მიერ მოყვანილი დამაჯერებელი
არგუმენტების გათვალისწინების შედეგად.
- წინა გამოკითხვათა შედეგების მეტი ეფექ-
ტიანობით გამოყენების შესაძლებლობა.
პროცესის წარმმართავი პირი (ან ორგა-
ნიზაცია) მიმდინარე ტურში დაგზავნილ
შეკითხვებზე გაცემული პასუხისმგება ამოკ-
რეფს მხოლოდ საქმიან ინფორმაციას, რო-
მელთაც ახალი შეკითხვების სახით გა-
მოკითხვის მორიგ ტურში გადაუგზავნის
სპეციალისტებს.

- ჯგუფური პასუხებისათვის სტატისტიკური მახასიათებლების დადგენა. მეთოდით გამოითვლება მედიანა და კარტილები. მედიანა შესაფასებელი პარამეტრის მნიშვნელობათა დიაპაზონში ის რიცხვია, რომელიც ექსპერტებს, მათ მიერ ნავარაუდევი სიდიდეებიდან გამომდინარე, ორ ტოლ ჯგუფად ყოფს. კარტილები კი ზემოთ აღნიშნულ დიაპაზონში “ზომიერი” შეხედულებების ექსპერტთა ნახევარს “მარგინალთა” მეოთხედებისაგან გამოაცალკევებს.

დელფოსის მეთოდის ნაკლია შედეგების მიღების დროის გაწელვა და ექსპერტებს შორის ცოცხალი კონტაქტის უქონლობა, რაც აღმოიფხვრა კრეატიული აზროვნების დარგის ცნობილი სპეციალისტის დე ბონოს მიერ შემოთავაზებულ მიღებისაში, რომელმაც ამავე დროს დელფოსის მეთოდის დირსებები მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შეინარჩუნა მისი ეწ. ექვსი ქუდის მეთოდში.

დე ბონო პრობლემის განხილვა-გადაწყვეტა არის სპექტაკლის სახე, რომლის ნებისმიერ მონაწილეს ევალება ითამაშოს 6 სხვადასხვა როლი: საკითხის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე მოგვევლინოს ერთ-ერთი ფერის ქუდით – ცვალოს აზროვნების სტილი. ეს სტილი გასაჭანს აძლევს ადამიანის სხვადასხვა გრძნობა, მეტიც, აიძულებს მას, გამოთქვას იმედი, ეჭვი, მოიყვანოს საკუთარი ან სხვისი მოსაზრების დამადასტურებელი თუ უარმყოფელი ფაქტები, დასახოს გზები შემოთავაზებული იდეის რეალიზებისათვის და სხვ.

აზროვნების ეს სტილი შესაძლებელია ასეთი ტანდემების სახით წარმოვადგინოთ:

წითელი – ინტუიცია და გრძნობები
ყვითელი – უპირატესობები
შავი – საფრთხეები
მწვანე – ალტერნატივები და შემოქმედებითი იდეები
თეთრი – ინფორმაცია
ლურჯი – აზროვნების პროცესის მართვა

სტატიის ავტორებს მიაჩნიათ, რომ თუ სიტუაცია საშუალებას იძლევა, იდეის უფრო სრულყოფილად განხილვა-შეფასებისათვის უპრიანი იქნებოდა ორივე მიღებომით გვესარგებლა, ამასთან, თავდაპირველად დელფოსის, შემდგომ კი დე ბონოს მეთოდით, რითაც შენარჩუნებული იქნებოდა ორივე მეთოდის დირსებები.

ვთვლით, რომ სწორ გადაწყვეტილებასთან პირველი, “უხეში მიახლოება” უნდა განხორციელდეს დელფოსის მეთოდით, შემდგომ კი უკვე მეტნაკლებად დაახლოებული პოზიციების შეჯერება – სპეციალისტებს შორის ცოცხალი კონტაქტის დამყარებით.

ვთვლით, რომ განსაკუთრებული ეფექტის მოტანა ამ მიღებობას შეუძლია სწორედ სახელმწიფოებრივ დონეზე გადასაწყვეტი ამოცანების შემთხვევაში, ჯერ ერთი, მათი მასშტაბიდან გამომდინარე, და მეორეც – სახელმწიფო გაცილებით მეტ შესაძლებლობებს ფლობს მართვის პროცესების სწორად წარმართვისთვის, ვიდრე ნებისმიერი სხვა, რანგით ქვემდგომი სტრუქტურა. სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ ხელმძღვანელობა გაუწიონ დინამიკური ჯგუფების შექმნას, შემდეგ კი, მიღწეული შედეგების მიხედვით, მოახდინონ ამ ჯგუფების თუ ცალკეული სპეციალისტების რანჟირება და რეზერვის ფორმირება სახელმწიფო სტრუქტურების პერსონალისათვის. თუმცა რიგ შემთხვევებში უკეთესიც იქნება, თუ თავის საქმეში გამორჩეული სპეციალისტი (ნოვატორი, მეცნიერი) გააგრძელებს მოღვაწეობას, თავისი ცოდნის სრულყოფას, გამოცდილების დაგროვებას მის “მშობლიურ” სფეროში, სტრუქტურაში, ოღონდ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ იგი მუდმივად იმყოფებოდეს სახელმწიფოს მხრიდან უზრადდების არეალში, უზრუნველყოფილი იყოს მისი “პორიზონტალური ზრდა”, საჭირო მოგებებში მოხდეს სპეციალისტის მორალური და მატერიალური წახალისება, სხვადასხვა დინამიკურ ჯგუფებში შეევანა იქ სიტუაციის გამოს-

წორების მიზნით. მაგალითად, კოვლით, რომ ქალაქის მერიაში ბიუჯეტის ფორმირების მწვავე, დროში ფრიად გაწელილი და საერთოდ, მსგავსი საკითხები თავისუფლად შეეძლოთ გადაწყვიტათ არამცოუ სტუ-ს ინფორმაციისა და მართვის სისტემების ფაქულტეტის თანამშრომლებს, სტუდენტებსაც კი, ზემოთ მოყვანილ მეთოდებზე დაყრდნობით და პროგრამულ დონეზე პროდუქტის შექმნითაც. ბიუჯეტის ფორმირება რესურსების განაწილების ტრივიალური ამოცანაა, რომლის ერთ-ერთი კონკრეტული ვარიანტია – თანამშრომლებს შორის საგზურების განაწილება – ჯერ კიდევ 25 წლის წინ წარმატებით გადაწყვდა სტუ-ში კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით.

გვსურს შევეხოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს – როდესაც ამა თუ იმ ორგანიზაციის საქმიანობის სრულყოფის მიზნით იქმნება მისი მართვის ახალი მექანიზმი (როგორც წესი, დღეს ეს ხორციელდება კომპიუტერული სისტემის მეშვეობით). ორგანიზაციის ხელმძღვანელები, ჩვეულებრივ, იფარგლებიან ვიწრო უწყებრივი ინტერესებით. მათ სურთ მიიღონ სწრაფი ეფექტი და ნაკლებად ინტერესდებიან მეორე, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, საკითხით, ვიდრე ცალკეული ორგანიზაციების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფაა. კერძოდ, რა პირობების შექმნაა საჭირო, რომ მომავალში დამპროექტებელთა ჯგუფის მუშაობა კიდევ უფრო მეტი ეფექტის მომტანი გახდეს? დღეს სიტუაცია ძალიან სწრაფად იცვლება, ორგანიზაციებისადმი ახალი მოთხოვნები კომპიუტერული სისტემების ახალი ვერსიების შექმნის აუცილებლობას იწვევს. ეს ვერსიები კი, ბუნებრივია, გარდა პირველისა, ცარიელ ადგილზე არ იქმნებოდა. მაგრამ, როგორც საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, დამპროექტებელთა ახალ ჯგუფებს, რეალურად, საქმიანი ურთიერთობა არ პქონიათ დამპროექტებელთა წინა ჯგუფთან (მით უფრო კიდევ წინა ვერსიაზე მომუშავეებთან), რაც, ჩვენი დაკვირვებით,

მნიშვნელოვნად აფერხებს საქმის სწრაფი ტემპებით წინსვლას.

შესაბამისად, პირველი რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც სასურველი იქნებოდა ხელმძღვანელ სტრუქტურებს, რგოლებს გაეთვალისწინებინათ, ასეთია (მართალია, ეს დასკვნები ძირითადად, საერთო სასამართლოების სტრუქტურების საქმიანობის ავტომატიზების შემთხვევისათვის კომპიუტერული სისტემების შექმნის ისტორიის შესწავლის შედეგად გამოტანილ იქნა, მაგრამ კოვლით, რომ შემოთავაზებული რეკომენდაციები მხოლოდ სასამართლოსთვის არაა განკუთვნილი):

- როცა ჯგუფი მუშაობას იწყებს კომპიუტერული სისტემის ახალი ვერსიის შექმნაზე, სასურველია მისი წევრები კარგად გაეცნონ წინა ჯგუფის მუშაობის შედეგებს, არ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ სისტემის თანმხლები ინსტრუქციების შესწავლით, რომლებიც, როგორც წესი, ბოლომდე სრულყოფილი თითქმის არასოდეს არის, ზოგჯერ კი, საერთოდაც არ არსებობს;
- კიდევ უფრო მეტი ეფექტის მომტანი იქნება ახალ ჯგუფში წინას, თუნდაც ერთი წარმომადგენლის ჩართვა, შესაბამისი ანაზღაურებით. ამასთან, შესაძლებელია ეს განხორციელდეს ახალი ვერსიის შემუშავების მხოლოდ თავდაპირველ ეტაპზე.

3. დასკვნა

დღევანდელი რეალობა, ჩვენი ქვეყნის ახალ ეკონომიკურ ფორმაციაზე გადასვლა მწვავედ აყენებს საქართველოში ნებისმიერი სფეროს მართვის სრულყოფის საკითხს. უპირველეს ყოვლისა, ცხადია, სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოწინავე ქვეყნებთან შედარებით არსებული ჩამორჩენის აღმოფენას, სახელმწიფოებრივი სტრუქტურების სამუშაო მქანიზმების სრულყოფას, რათა, მაგალითად, დაიხვეწოს ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა, შესაბამისობაში მოვიდეს

იგი ევროპულთან, საქართველოში გამოშვებული ნაწარმი კონკურენტუნარიანად იქცეს მსოფლიო ბაზარზე, ამაღლდეს განათლების დონე, ჩვენი სასწავლო პროგრამები შეთავსებადი იყოს განვითარებული ქვეყნების შესაბამის პროგრამებთან და სხვ.

თვისებრივი სიახლეების მისაღწევად საქმარისი არ არის მხოლოდ ტრადიციული მეთოდებით მიღებული ცოდნის იმედად ყოფნა – გასაოცარი სისტრაფით ცვალებად გარემოში აუცილებელია ახლებურად, შემოქმედებითად აზროვნება.

სტატიაში, ასეთ მეთოდებზე დაყრდნობით, მოცემულია ზოგიერთი რეკომენდაცია სახელმწიფო სტრუქტურების ქვედა რგოლებთან, „უშუალო შემსრულებლებთან“ ურთიერთობების და მათი მართვის სრულყოფის მიმართებით.

ლიტერატურა

1. მ. ახობაძე, ზ. ბოსიძაშვილი, გ. გოგიაშვილი, გ. სურგულაძე, თ. სუხიაშვილი, გ. ლევანევაძე. სასამართლო საქმეთა წარმოების ქსლური მართვის ავტომატიზებული სისტემა. ტექნიკური უნივერსიტეტი, 2006 წ. – 300 გვ.
2. გ. ლევანევაძე. ვისწავლოთ შემოქმედებითად აზროვნება. თბ.: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2012წ. - 249 გვ.
3. გ. ლევანევაძე. მომხმარებლისათვის მეგობრული ინტერფეისის დამუშავების ზოგიერთი საკითხი // მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრის დაარსების მე-40 წლისთავისადმი მიდგნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 2011, გვ. 185-188.

UDC 004.5

SOME REFLECTION ON IMPROVEMENT OF STATE CONTROL

G. Gvinepadze, T. Gvinepadze

Department of management of automated systems, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is given recommendations for government agencies to improve the relationship with direct responsible parties, which are collaboratively working on addressing challenges posed to the state, as well as on mechanisms to improve the management of these structures.

Key words: state administration; expert systems; computer systems.

УДК 004.5

НЕКОТОРЫЕ СООБРАЖЕНИЯ ПО УСОВЕРШЕНСТВОВАНИЮ УПРАВЛЕНИЯ ГОСУДАРСТВОМ

Гвинепадзе Г.Ш., Гвинепадзе Т.Г.

Департамент управления автоматизированными системами, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77

Резюме: Даются рекомендации для госучреждений по совершенствованию взаимоотношений с непосредственными исполнителями, работающими над решением поставленных перед государством задач, а также с целью улучшения механизмов управления этими структурами.

Ключевые слова: государственное управление; экспертные системы; компьютерные системы.

მიღებულია დასაბუჭიდავ 29.09.14

ავტორთა საძიებელი

Author's index

Указатель авторов

- ახობაძე გ. 43, 49
ბარამიძე ს. 14
ბახტაძე თ. 49
გაგლოშვილი ჯ. 55
გასინგაშვილი ზ. 55
გოგიჩაიშვილი გ. 43
გუგულაშვილი გ. 33
გუდიაშვილი გ. 9
გარბიაშვილი ს. 49
ისაკაძე თ. 28, 33
კილურაძე თ. 14
კურცხალია ქლ. 49
ლომიძე ს. 9
მეგრელიძე გ. 33
მეგრელიძე თ. 28, 33
სურგულაძე გ. 43
სუხიაშვილი თ. 43
ტოკაძე ლ. 38
ქეთელაური გ. 14
ღვინევაძე გ. 43, 64
ღვინევაძე თ. 64
ჩხეიძე ი. 38
ჩხიძე ქ. 19
ხუციშვილი ს. 55
Гаджиев Г.К. 23

ავტორთა საყურადღებოდ!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული არის რეფერირებადი ქურნალი, რომელიც გამოიცემა წელიწადში ოთხჯერ (პირველი ნომერი მოიცავს პერიოდს 1 იანვრიდან 31 მარტამდე, მეორე – 1 აპრილიდან 30 ივნისამდე, მესამე – 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე და მეოთხე – 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე).

კრებულის დანიშნულებაა მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევების, გამოკვლევათა მასალებისა და შედეგების ოპერატიულად გამოქვეყნება.

სტატია მიიღება ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე და ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელთათვის სტატიის გამოქვეყნება უფასოა.

სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთს.

კრებულში ქვეყნდება სტატიები ახალი მეცნიერული კვლევების შედეგების შესახებ შემდეგი თეორიული და გამოყენებითი დარგების მიხედვით:

- მშენებლობა
- ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაცია
- სამთო-გეოლოგია
- ქიმიური ტექნოლოგია, მეტალურგია
- ტრანსპორტი, მანქანათმშენებლობა
- არქიტექტურა, ურბანისტიკა, დიზაინი
- ბიზნესინჟინერინგი
- ინფორმატიკა, მართვის სისტემები
- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგი
- ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი

გთავაზობთ სამეცნიერო სტატიის გაფორმების წესს:

- ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით A4 ფორმატის ქაღალდზე, არანაკლებ 4 გვერდისა (არეები – 2 სმ, ინტერვალი – 1,5). თან დართული უნდა ჰქონდეს გამოყენებული ლიტერატურის სია;
- სტატია შესრულებული უნდა იყოს DOC ფაილის სახით (MS-Word) ჩაწერილი ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე;
- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ Acadnusx შრიფტი, ზომა 12;
- ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტისთვის – Times New Roman, ზომა 12;
- სტატიის ქუდი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - უაკ-ს (უნივერსალური ათობითი კლასიფიკაცია)
 - ავტორის (ავტორების) სახელს, მამის სახელს, გვარს
 - ავტორის (ავტორების) ელექტრონული ფოსტის მისამართს და საკონტაქო ტელეფონს
 - დეპარტამენტის დასახელებას
- სტატიაში ქვესათაურებით გამოკვეთილი უნდა იყოს შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა;
- ნახაზების ან ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს ნებისმიერ გრაფიკულ ფორმატში გარჩევადობით არანაკლებ 150 dpi-სა;
- სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე და საკვანძო სიტყვები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე;
- სტატია შედგენილი უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი (ავტორები) პასუხს აგებს სტატიის შინაარსსა და ხარისხზე.

გთავაზობთ სტატიის წარმოდგენისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალს:

- ორი რეცენზია
- ფაკულტეტის სწავლულ ექსპერტთა დარგობრივი კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი
- ფაკულტეტის ან მიმართულების სემინარის ოქმის ამონაწერი.

To the authors attention!

Transactions of Georgian Technical University represent reviewed, periodical edition, which is published four times a year. (the first number includes the period from 1 January to 31 March, the second number - from 1 April to 30 June, the third number - from 1 July to 30 September and the fourth - from 1 October to 31 December).

Purpose of collection is assistance of science development, new achievements of scientists and specialists, operative publication materials and results of scientific researches.

The articles are accepted in Georgian, English and Russian languages (are published in original language).

The publication of articles for the workers of Georgian Technical University is free of charge.

The amount of author's article mustn't exceed 5.

In transactions are published articles about results of new scientific researches according to the following theoretical and applied sphere of a branch:

- Building
- Energetics, telecommunication
- Mining-geology
- Chemical technology, metallurgy
- Transport, engineering industry
- Architecture, urbanist, design
- Business-engineering
- Informatics, systems of management
- Agrarian sciences and biosystems engineering
- Institute of constructions, special systems and engineering maintenance

There is offered the rule of official registration of scientific articles:

- The volume of a work is determined with A4 paper size, no less than 4 pages (margins - 2cm, line spacing - 1,5) and with a list of references;
- The article should be carried out in form file DOC (MS-WORD), written down on any magnetic carrier.
- For Georgian text there is used Acadnusx font, size 12;
- For English and Russian texts there is used font - Times New Roman, size 12;
- The beginning of the article should contain the following informations:

- UDC (Universal Decimal Classification)
 - Name, surname of author (authors)
 - E-mail and contact telephone of author (authors)
 - The name of department in all three languages
- In the article with subtitles should be isolated the introduction, the body of the article and the conclusion;
 - Computer version of pictures or photos must be done in any graphic format with the recognition no less than 150 dpi;
 - The article should have resume and key words in Georgian, English and Russian languages;
 - The article should be written correctly, with the observance terminology, without stylistic and grammatical mistakes;
 - Author (authors) is (are) responsible for content and quality of article.

There is offered the following documentation for the article presentation:

- Two reviews
- Extract from the minutes of a branch commission meeting of faculty learned experts
- Extract from the seminar minutes of faculty or direction.

К сведению авторов!

Сборник научных трудов Грузинского технического университета является реферируемым периодическим изданием, которое выходит в свет четыре раза в год (первый номер включает период с 1 января по 31 марта, второй номер – с 1 апреля по 30 июня, третий номер – с 1 июля по 30 сентября и четвертый – с 1 октября по 31 декабря).

Назначение сборника – содействие развитию наук, новых достижений ученых и специалистов, оперативная публикация материалов и результатов исследований.

Принимаются статьи на грузинском, английском и русском языках (публикуются на языке оригинала).

Для сотрудников Грузинского технического университета статьи публикуются бесплатно.

Количество авторов статьи не должно превышать 5.

В сборнике печатаются статьи, касающиеся результатов новых исследований по следующим теоретическим и прикладным отраслям:

- Строительство
- Энергетика, телекоммуникации
- Горное дело-геология
- Химическая технология, металлургия
- Транспорт, машиностроение
- Архитектура, урбанистика, дизайн
- Бизнес-инженеринг
- Информатика, системы управления
- Инженеринг аграрных наук и биосистем
- Институт сооружений, специальных систем и инженерного обеспечения

Предлагаем порядок оформления научных статей:

- Объем работы определяется форматом бумаги А4 с интервалом 1,5, содержащей не менее четырех страниц (поля = 2см), со списком литературы.
- Статья должна быть выполнена в виде файла DOC (MS-Word), записанного на любом магнитном носителе.
- Для грузинского текста используется шрифт Acadnusx, размер 12.
- Для английского и русского текстов – шрифт Times New Roman, размер 12.
- В начале статьи должна содержаться следующая информация:

- УДК (Универсальная десятичная классификация).
 - Фамилия, имя, отчество автора (авторов).
 - Адрес электронной почты автора (авторов) и контактный телефон.
 - Название департамента на трех языках.
- В статье подзаголовками следует выделить введение, основную часть и заключение.
 - Компьютерный вариант рисунков или фото должен быть выполнен в любом графическом формате распознаванием не менее 150 dpi.
 - Статья должна иметь резюме и ключевые слова на грузинском, английском и русском языках.
 - Статья должна быть написана грамотно, с соблюдением терминологии, без стилистических и грамматических ошибок.
 - Автор (авторы) ответствен за содержание и качество статьи.

Для представления статьи необходимы следующие документы:

- Две рецензии.
- Выписка из протокола заседания отраслевой комиссии ученых- экспертов факультета.
- Выписка из протокола семинара факультета или направления.

რედაქტორები: ნ. დოლიძე, დ. ქურიძე, მ. პრეობრაჟენსკაია
კომპიუტერული უზრუნველყოფა ე. ქარჩავასი

გადაეცა წარმოებას 23.10.2014. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.12.2014. ქაღალდის ზომა 60X84 1/8.
პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 5. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77



Verba volant.
scripta manent